საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ფულიანობით და ქონებით ბერ-თის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 8 ივნისი. 2020 წ. №70 (8996) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

SOS!

...უფრო ვაჟკაცურად, გაბედულად და პრინციპულად იმოქმედეთ „ოცნების“ ხელისუფლებავ! სამშობლოს გადასარჩენად სამართლიან ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! ნუ შეგეშინდებათ რამდენიმე ამერიკელი და ევროპელი არამკითხე „მეგობრის“ კრიტიკისა, თქვენ ჯერ კიდევ გიჭერთ მხარს ქართველი ხალხის უმრავლესობა, და სწორედ ესაა მთავარი!.. თავისი ცნობიერებით და პრაქტიკული მოქმედებით მხარს გიჭერთ თვით დონალდ ტრამპიც!..მეტი რაღა გინდათ?!

„საქართველოს რესპუბლიკა“

კვალი მეცნიერებაში

რისმაგ გორდეზიანი - ღირსებით განვლილი ოთხმოცი წელი

5

ავი თითის ქნევანი კოზმანაშვილის დარბაზში და გამოუშიგნული ტროას ცხენი



3

ჯორჯ ფლოიდი სადისტურად მოახრჩვეს!..

8

„ზედემოკრატიული“ ჰეგემონის პრობლემები

ვიხსნათ დედაქალაქი მჯღაბნელებისგან!

4

ყოველი ბოროტების მიზეზი კაცია და არა ღმერთი!

დეკანოზი
გიორგი (რუხაძე)

ვაქცინა რელიგიაში შეჭრილი ინფექციის წინააღმდეგ

„წმიდა ძლვენიდან (ზიარებიდან) სენის გადადება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მე ახლა თქვენთან ნამდვილად ვერ ვისაუბრებდი. გულწრფელად მწამს, რომ ბარძიმი აღსავსეა ცეცხლით ქრისტეს სიყვარულისა, რომელიც ყოველგვარ მწიკულევანებას სპობს“. — მეც ასე მწამს და სტატიაც ამიტომ დავიწყე დიდი გამოცდილების მქონე ექიმის, აწ უკვე მღვდლის, ალექსი ტიმაკოვის* სიტყვებით. მისი საუბრიდან კარგად ჩანს ცოდნისა და რწმენის ჰარმონიული თანაარსებობა, რომლის წყალობითაც ყველა პრობლემა თავისი თავის აღმოფხვრისკენ უმტკივნეულოდ ილტვის.

თუმცა, საზოგადოდ, ეს მხოლოდ სანატრელი ჰარმონიულობაა, სოფელი მას ვერ ჰგუობს. ადამიანებს მოვლენათა პრაგმატულად შეფასება უფრო ეადვილებათ და ობიექტური დასკვნებისთვის თავს არ იწუხებენ, ვინაიდან ნებისმიერი შემთხვევა საღმრთო განგებულებით, ანუ რაიმე მიზეზით, არის განპირობებული და მისი ახსნისთვის სარწმუნოებასთან ერთად სათანადო ცოდნაც აუცილებელია. რელიგიური ცოდნის შეძენას კი განსაკუთრებული შრომა და დიდი დრო სჭირდება, რადგან იგი არა მარტო წიგნიერ მუშაკობას, არამედ სულიერ მოღვაწეობასაც, ანუ ასკეტურ ცხოვრებას, მოითხოვს.

ამიტომ თუ ვინმე განიზრახავს, ეკლესიას რაიმე წესის შეცვლისკენ მოუწოდოს, მანამდე კონსულტაციის მიღებას ნუ ითაკილებს, რაც საზოგადოებრივი საქმისთვის უმჯობესი იქნება, რადგან საკითხის არსში გარკვევის შედეგად ზომიერების დაცვას უფრო ადვილად შეძლებს. მით უმეტეს, ამგვარი წინდახედულობის გამოსაჩენად პასუხგაუცემელი კითხვების გაჩენაც კმარა. მაგალითად, კორონავირუსის გავრცელებისთანავე ევროპაში ჯერ ტაძრები რატომ დაკეტეს, ხოლო ბარები და რესტორნები შემდეგ?! ჩვენი მედიისა და მედიკოსებისთვისაც, საეკლესიო მსახურების საუკუნოვანი წესები და წირვა-ლოცვებზე მრევლის დასწრების მიზაშეწონილობის საკითხი ლამის მთავარ საქვეყნო პრობლემად რატომ გადაიქცა?!

ამჟამად საქართველოში ეკლესიურად მოსახლეობის დაახლოებით 1% ცხოვრობს; განა მოქალაქეთა ეს, ყველაზე კანონმორჩილი, ნაწილი საყოველთაო ყურადღებას საჭიროებდა? ნუთუ მართლმადიდებელ ეკლესიას იმდენი დამსახურება არა აქვს სამშობლოს წინაშე, რომ ტაძრებში საკარანტინო წესების დარღვევათა გამოსავლენად ჟურნალისტებისა და ოპერატორების სრული მობილიზება არ გამხდარიყო საჭირო?

ხალხისთვის არავის აუხსნია, თუ რატომ მიენიჭა კორონავირუსს არა ეპიდემიის, არამედ პანდემიის სტატუსი და, დაახლოებით, მოსახლეობის რამდენი პროცენტი უნდა იყოს დასნებოვნებული, რომ სახელმწიფომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს? ჩვენ ხომ სრულიად მშვიდად ვცხოვრობთ იმ მსოფლიოში, სადაც ყოველწლიურად ჩვეულებრივი გრიპისგან, ანუ მის მიერ განვითარებული პნევმონიისგან, დაახლოებით 650 ათასი, ხოლო ტუბერკულოზისგან ორი მილიონი ადამიანი იღუპება?!

იხ. 6 გვ.

* *Между паникой и беспечалностя... Православие.ру*

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 ივნისს

მეუფე შიო: ჩვენს ქვეყანასა და ეკლესიაში სულიწმინდა მოქმედებს

ილია მეორის მოღვაწეობა არის დასტური იმისა, რომ ქვეყანასა და ეკლესიაში სულიწმინდა მოქმედებს და სუფევს, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიომ ქადაგებისას განაცხადა. მან მრევლს გუშინ სულთმოფენობის დღესასწაული მიულოცა.

„ეს არის დღე, ჩვენი წმინდა ეკლესიის დაბადებისა, ეს არის დღე, რის გამოც, უფალი იესო ქრისტე მობრძანდა ამ ქვეყნად, რის გამოც განკაცდა. ეს იყო მისი მიზანი, რომ დაეარსებინა თვისი ეკლესია და სულიწმინდის მადლი გარდამოევლინა ჩვენზე. გილოცავთ ამ დიდებულ დღეს და გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორეს დალოცვას და ლოცვა-კურთხევას.

დღეს ჩვენ ვიგალობეთ საგალობელი, რომელიც ყველამ იცით, „რაოდენმა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღეს, ქრისტე შეგვიმოსიეს“ და ეს ნიშნავს, რომ ვინც მოვინათლეთო ქრისტეში, ქრისტე შევიმოსეთო. როგორ ხდება ეს შემოსვა ქრისტესი, რას ნიშნავს ქრისტეს შემოსვა — ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი განიძარცვავს ძველ კაცს, ცოდვილს, დაცემულს და შეიმოსს ახალს, შეიმოსს ქრისტეს. აი ეს არის ეკლესიაში რაც ხდება, რისთვისაც დაარსდა ეკლესია. ეს ხდება მხოლოდ სულიწმინდის მადლით, რომელიც დღეს გარდამოევლინა ჩვენზე, მხოლოდ ეკლესიის საიდუმლოებებით არის შესაძლებელი.

სულიწმინდაზე თქვა იესომ, რომელსა სწამდეს ჩემიო, მდინარენი მუცლისა მისისა სდიოდენ წყლისა ცხოველისა. ეს წყალი ცხოველი არის სულიწმინდის მადლი. ვინ იღებს ამ სულიწმინდის წყალს, მხოლოდ ისინი, ვისაც ძლიერ სწყურიათ, თუ ადამიანს აქვს ასეთი ძლიერი წყურვილი, როგორც დიდი ხნის მოწყურებულ ადამიანს.

ასევე, ეკლესია ეს არის კარი ცათა სასუფევლის. მხოლოდ ეკლესიაში შეიძლება ადამიანმა შეიძინოს ისეთი თვისებები, რომელიც აუცილებელი არის ცათა სასუფევლისთვის. ჩვენ დღეს განსაკუთრებით ერთად, ყველამ მივულოცოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორეს, რადგან მისი საპატრიარქო მოღვაწეობა არის დასტური იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში და ეკლესიაში სულიწმინდა მოქმედებს და სუფევს, რადგან მთელი მისი მოღვაწეობა არის სულიწმინდის მადლით გაჯერებული“, — განაცხადა მეუფე შიომ.

ვაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, ლევან ღირსიაშვილი აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) ორმხრივი თანამშრომლობის ოფიცერს, მაიორ კვინტინ დოლი შეხვდა.

მაიორი დოლი, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან აქტიურად თანამშრომლობდა, დაკავებულ თანამდებობას ტოვებს.

შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრეს. ლევან ღირსიაშვილმა მაიორ დოლს საქართველოში მისი მუშაობის პერიოდში გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. აგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ODC-მ 2019 წელს სამსახურს 6 ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება და ერთი სახანძრო-სამაშველო მანქანა გადმოსცა.

„პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ვაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე რიგში მინდა ვახსენო ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში განვახორციელებული არაერთი პროექტი. მაგალითისთვის, შეგიძლიათ იხილოთ ეს სახანძრო მანქანა, რომელიც გადავეცით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. თუმცა ამის გარდა კიდევ ბევრი პროექტიგვაქვს განხორციელებული მეხანძრე-მაშველების აღჭურვილობის და ასევე, სასწავლო ცენტრის გაძლიერების მიმართულებით. მოხარულები და ამაყები ვართ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გაწეული დახმარებით. იმედი მაქვს ეს კარგი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“ — განაცხადა კვინტინ დოლიმ.

„ჩვენ უკვე ჯოჯოხეთში ვართ!“

სომხეთში „კოვიდ-19“-ით 100 000-ზე მეტი ადამიანია ინფიცირებული?...

სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი იმ მოქალაქეებს მიმართავს, რომლებსაც კორონავირუსის არსებობის არ სჯერათ.

„ამბობენ, რომ ეს სიცრუეა, რომ კორონავირუსი არ არსებობს და მთავრობა ციფრებს იმიტომ აქვეყნებს, რომ დახმარება მიიღოს. თითქოს, ჩვენი ხელისუფლება ასე ხშირად ითხოვდეს დახმარებას საჭიროების გარეშე. რა თქმა უნდა, კორონავირუსის შესახებ ბევრი რამ სულ ცოტა ხნის წინ გავიგეთ, ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ უფრო ადრე გაგვეგო საზოგადოების დამოკიდებულება ვირუსთან დაკავშირებით.



ჩვენ უკვე ჯოჯოხეთში ვართ, თუმცა არ მიგვიღწევია ჰუმანიტარული კატასტროფისთვის. შეგვიძლია, ეს ჯოჯოხეთი გავიაროთ ჰუმანიტარული კატასტროფის გარეშე“, — განაცხადა ბრიფინგზე ნიკოლ ფაშინიანმა. მისი განაცხადებით, ქვეყანაში ამჟამად ჰოსპიტალიზაციის რიგს კორონავირუსით ინფიცირებული 200-მდე პაციენტი ელოდება.

* * *

„ზოგიერთი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სომხეთში ახლა „კოვიდ-19“-ით 100 000-ზე მეტი ადამიანია ინფიცირებული. ამ დასკვნამდე მივედით ლეტალური შედეგებიდან და ინფიცირებულთა დადგენილი რიცხვიდან გამომდინარე“, — წერს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ფაშინიანი საკუთარი ფეისბუქგვერდზე .

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ ქვეყანაში „კოვიდ-19“-ით ინფიცირებული პაციენტების 67 პროცენტი ქალია. მისივე თქმით, გარდაცვლილთა შორის 58 პროცენტი მამაკაცია, ხოლო 42 პროცენტი ქალი.

ბოლო 24 საათის განმავლობაში სომხეთში „კოვიდ-19“-ის 766 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, ხოლო გარდაიცვალა ათი ადამიანი. ქვეყანაში კორონავირუსის 13,130 ახალი შემთხვევა ფიქსირდება, მათ შორის 200 ფატალური.

მიმოსვლა სავარაუდოდ 15 ივნისიდან აღდგება

სარკინიგზო ტრანსპორტისთვის კორონავირუსთან დაკავშირებით გამოქვეყნებული რეკომენდაციების შემუშავების პროცესში „საქართველოს რკინიგზა“ ჩართული იყო. ჩვენ ამ პერიოდის განმავლობაში ვაცხადებდით, რომ მზად ვართ მგზავრების უსაფრთხო გადაყვანისთვის, რაც ჩვენი მხრიდან ყველა რეგულაციის შესრულებას გულისხმობდა, — ამის შესახებ Imedinews „საქართველოს რკინიგზის“ სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა კაჭარავამ განუცხადა.

მისი თქმით, კარანტინის პერიოდში კომპანია სრულად ითვალისწინებდა და იცავდა COVID19-თან დაკავშირებულ ყველა რეკომენდაციას. **„ახლა კი ვემზადებით სეზონისთვის. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, შემუშავებული გვაქვს მგზავრობის სპეციალური ინსტრუქცია, კერძოდ, ვაგონის შესასვლელებში გამცილებლები მგზავრებს ჩაუტარებენ თერმოსკრინინგს, მატარებელში შესვლისთანავე კი მათ უნდა გაიარონ დეზობარიერი და ხელები დაიმუშაონ სადეზინფექციო ხსნარით. ხელის დისპენსერები ყველა ვაგონში იქნება დამონტაჟებული. მნიშვნელოვანია მგზავრებმა წინასწარ იცოდნენ, რომ უნდა დაიცვან სოციალური დისტანცია, ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების არსებობის შემთხვევაში კი არ გამოცხადდნენ გასამგზავრებლად. პირბადის გარეშე მგზავრები არ დაიშვებიან და მგზავრობის პროცესში მათ არ აქვთ პირბადის მოხსნის უფლება. „საქართველოს რკინიგზა“ მზად არის მგზავრების უსაფრთხო გადაყვანისთვის“,** — განაცხადა ნიკა კაჭარავამ. არსებული ინფორმაციით, სარკინიგზო მიმოსვლა, სავარაუდოდ 15 ივნისიდან აღდგება. როგორც Imedinews-ისთვის გახდა ცნობილი არ გაიზრდება მგზავრობის საფასური.

რესტორნებიც გაიხსნება

8 ივნისს საქართველოში შეზღუდვების მოხსნის მორიგი ეტაპი იწყება. უწყებათშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, ხვალიდან რესტორნები მუშაობას სრული დატვირთვით შეძლებენ.

1-ლი ივნისიდან საქართველოში მხოლოდ ღია სივრცის მქონე რესტორნებს შეეძლოთ სტუმრების მიღება, დღეიდან კი დახურული სივრცის გამოყენებასაც შეძლებენ. მიუხედავად შეზღუდვების შერბილებისა, ძალაშია შემდეგი ვალდებულებები, რომელთა დაცვაც რესტორნების სტუმრებს მოუწევთ: ერთ მაგიდასთან მხოლოდ 6 ადამიანი უნდა იჯდეს და გარშემომყოფებისგან სოციალური დისტანცია უნდა დაიცვან. ამასთან, 8 ივნისიდან გაიხსნება ყველა სასტუმრო და აღდგება საქალაქთაშორისო მოძრაობა.

ავი თითის ქნევანი კოზმანაშვილის დარბაზში და გამოშიგნული ტროას ცხენი



ამ ქვეყნად მუდმივი არაფერია. ახლოვდება არჩევნები და, შესაბამისად, თანდათან იძაბება ვითარება. ჩვენს თვალწინ იშლება და იქცევა ციხე-გოდოლნი, რომელთა იავარქმნასაც ვერავინ იფიქრებდა. ჯერ საძირკველი გამოერეცხა და მიწას დაენარცხა ერთ დროს უძლეველი ნაცმოძრაობა, რომლის დალეწილი ნაშთები ინსტინქტურად ერთმანეთს ჩაებღაუჭნენ და ასე ცალ-ცალკე წამოდგნენ ფეხზე. მართალია დრო და დრო ერთმანეთს კვლავაც მიესიყვარულებიან ხოლმე „შე ჩათლახოო“, მაგრამ მოწინააღმდეგის, ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ სიძულვილში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, ერთნაირად მზად არიან კბილებით გამოღადრონ ყელი, ათასი სიბინძურე და სისაძაგლე გადაასხან და ამ სიძულვილში ქალიან-კაციანად დაივიწყეს ოჯახიშვილობა, გვარიშვილობა, კაცთმოყვარეობა და ადამიანობა.

დაირღვა, გამოიშიგნა „ქართული ოცნებაც“, ჩამოსცილდა კოალიციური „პლასტი“, განუდგნენ მაჟორიტარები და წევრები, ზოგიერთი ისეთიც, „ოცნების“ უმრავლესობის სიმტკიცის ბურჯი რომ გვეგონა. თანაც ეს „გონს მოგებული“ ინდივიდები უბრალოდ კი არ განდგნენ, გააფთრებულ მტრებად ექცნენ მათ დამპურებელ, როგორც იტყვიან, ფეხზე დამყენებელ და კაცად მქცეველ უმრავლესობას, „ოცნების“ გარდაცვალებაზე გავრცელებული ნაადრევი ჭორი ხალას სიმართლედ მიიჩნიეს და „დროულად“ უგანეს.

მაგრამ გემბანიდან ვირთხების გაქცევა „ოცნებამ“ კარგა ხანია გამოიტირა, რადგან თუ კარგად ჩავუღრმავდებით, თვითონვე იყო დამნაშავე და, კაცმა რომ თქვას, სწორადაც მოიქცა. ეს ღალატი რომ თვეების წინათ კი არა, დღეს მომხდარიყო, მაშინ გენახათ ყელის გამოჭრა, თორემ ახლა...

„ოცნება“ ჭრილობებს იშუშებს და ძალებს იკრებს. ერთხელ უკვე დაყოფილ-დაზარალებული ნაცმოძრაობა კი, რომელიც თავის სულიერ სიმტკიცეზე ტრაბახით ქვეყნიერებას აყრუებდა და დედაბოძად ედგა ნათელაშვილის ოფისში თავშეყრილ ოპოზიციურ კოალიციას — ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმული კოზმანაშვილის დარბაზის ტყუპისცალს, ის თამრო აღარ არის. მაგალითად, უკვე გამოიკვეთა ნაცმოძრაობასა და ევროპული საქართველოს შორის გაჩხერილი მახათი.

ოპოზიცია 30-ვე მაჟორიტარული ოლქის მოგებას უმიზნებს. დიადი გამარჯვების ნიშანსვეტი იქნება თბილისის ოლქებში კანდიდატების სწორად, „რაციონალურად განშლა“, ისეთი ხალხის შერჩევა, ვინც არჩევნებს ნაღდად მოიგებს. მთელი ოპოზიციის ყურადღება — ამ ფრონტს, შეთანხმებული კანდიდატებით ბრძოლას! ასეთი იყო მოლაპარაკება კოზმანაშვილში.

ოღონდ, უცებ ნაციონალურ მოძრაობაში რაღაც მოხდა, არა შეთანხმებისმიერი, არა საყოველთაოდ მიღებული. ნაცმოძრაობელებმა რომან გოცირიძემ, ნუგზარ წიკლაურმა, ზაალ უდუამაშვილმა და ბოლო ხანს შემატებულმა გუბაზ სანიკიძემ „კრამოლა“ დაახეთქეს: მთავარი II ტურში გამარჯვებაა, იქ უნდა მივცეთ მხარი მხარს, თორემ I ტურში რომც დავმარცხდეთ, დიდი არაფერია, ამიტომ თუ იქ პარტიები არა საყოველთაოდ მიღებულ ერთ, არამედ თავთავიანთ კანდიდატებს დაყენებენ, არაფერი დაშავდებაო.

ნაცმოძრაობის ღალატმა მისი ტყუპისცალი ევრონაცები გააცოფა. გიგა ბოკერია უმალ ამბიონზე შედგა და პირგამტეხლები ხატზე გადასცა. სულ მუშტი უბრახუნა, გამყიდველები და სულგაყიდულები, საერთო საქმის დამსამმარებლები უძახა, ნაცებს შეთანხმების ჩაშლა უნდათო.

შეჯორილი ნაცები ჯერ აწურულები უსმენდნენ მოძმე პარტიის ბელადის ჭეკა-ქუხილს, მერე კი დაიბოღმნენ და თვალები დააელმეს. ხატია დეკანოიძემ თმები გაიშალა, რა თითს გვიქნევ, თვალში ხომ არ გეპატარავებითო. ნიკა მელიამ მაინც დიპლომატია მოიმარჯვა და გიგას თავისი ულვაშის 10 ღერი გაუგზავნა, ნაცმოძრაობა პოზიტიურ როლს პატიოსნად შეასრულებსო. აი, თბილისის 8 მაჟორიტარული ოლქიდან 6-ს ვთმობ, მხოლოდ ორში წარვადგენ ჩემს კანდიდატებს, დანარჩენები სხვებისთვის მიგვინდიაო. ოცნება უკვე დამარცხებულია, ამის მხოლოდ იურიდიულად გაფორმება დარჩაო.

ერთი სიტყვით, ეს წინააღმდეგობა თითქოს ჩაქრა, ანუ ჭრილობა შეხორცდა, მაგრამ რა თქმა უნდა, ნაწიბურები დარჩა, ისევე, როგორც გიორგი ვაშაძის მოულოდნელი სეპარატისტული სწრაფვა კორონაციისკენ. ვაშაძის პრემიერად წამოყენება. მისმა დამგეგმავებმა ტროას ცხენივით შეაპარეს გაერთიანებულ ოპოზიციაში, მაგრამ ცხენი მოულოდნელად აჭიხვინდა და წამოცვენილმა ილიონელებმა უმალ გამოშიგნეს.

ესეც მეორე მახათი.

საქმე ასე იყო.

ამას წინათ ანტიქრისტე „მთავარზე“ ისეთი დიალოგი მოვისმინე, თქვენი მოწონებული. მაგიდის ცალ მხარეს ცნობილი მამბა ეკა კვესიტაძე იჯდა, ჩაჯვი ნიკა გვარამიას ორაკული, მოპირდაპირედ — გიორგი ვაშაძე, ოპოზიციის აღიარებული სულიწმინდა, რომელსაც რუსული ბილიანების გმირ სადკოსავით ამოეღო მკერდიდან გული ქვეყნად დამკვიდრებული წყვდიადის გასანათებლად და მზად იყო იმ გულთან ერთად დამწვარიყო სამშობლოს სამსხვერპლოზე. მაგრამ ერთი კია, ძვირფას გიორგის ტელემაყურებელთათვის აგრერიგად ცნობილი რიხი არ ეტყობოდა, ის კი არა, მწვანე-ყვითლად აფორაჯებულიყო და თვალებსაც საეჭვოდ აცეცებდა, მზერას ვერ უსწორებდა მოსაუბრეს, მოუსვენრად ცმუკავდა, თითქოს სავარძელში კი არა, ზღარბზე იჯდა. მამბას კი ცნობილი, ავის მომასწავებელი ღიმილი აჰკვროდა ნიღაბივით, ახლა კი გიტირებ ყოფასო. უტირა კიდეც!

მიეთ-მოეთი არ დაუწყია, ულვაში გადაიგრიხა და ეგრევე შეაწუწა სახეში: პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად რომ დაასახელებინე თავი მატრაკვეცა თაკო ჩარკვიანს, ყველას უმალ და ყველასთან შეუთანხმებლად, როგორ იყოო.

და დაიწყო გიორგიმ თავის მართლება უგერგილოდ და უსაბუთოდ. მეო, ცხოვრებაში ერთადერთი პრინციპი მაქვს და მას მივყვები განუხრელად: ჩემთვის მთავარი ის არის, რა უნდა ხალხს და არა ის, რა მინდა მეო. მე კი ამქვეყნის სიკეთე მინდაო, დედას გეფიცები, მამას გეფიცები და ყველას გეფიცებიო, თაკოსთან შეთანხმებული არ ვყოფილვარო.

მაგრამ მამბამ შეამჩნია, ამ ფიცის დროს სადკოს ხეზე რომ ედო ხელი და არ მოეშვა. ისევე, როგორც, სხვათა შორის არც სხვა ტელეწამყვანები და პოლიტმეგობრები მანამდე და შემდეგ.

იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ კვესიტაძემ პირდაპირ ლაყუჩებით ათრია ეს შკაფივით ვაშაძე, ბიძინა ივანიშვილის მეგობარი და თანაბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი შენი ნათესავია და მისი ფულით ხელებს ითბობ, შენს პოლიტიკურ მამაძაღლობებს აგვარებო.

ვაშაძემ ისევ კევი ჩაიდო ყბაში: დედას გეფიცები, მამას გეფიცები და ყველას გეფიცები, ფულს მე არ ვთხოვ, თვითონ მაძლევს ხოლმეო (მართალია, მთლად ასე არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმებოდა)..

ერთი სიტყვით, მამბა ეკუნამ, რომელსაც აშკარად დავალება ჰქონდა, სული ამოხადე მაგ პლუტსო, ამოხადა კიდეც. „საუბრის“ დასრულებისას გიორგის სატირლად ჰქონდა მოღრეცილი ცხვირ-პირი. ერთი სული ჰქონდა, სასწრაფოდ სახლში გაექუსლა და კარგა ხანია სულში აფუთფუთებული პრემიერობის ჭიის ასე უდროოდ და საყოველთაოდ გაჭვლეტვა გამოეტირა ბალიშზე დამხობილს. ისე რომ, ვაშაძის მალული ოცნებისგან ოდენ რქები და ჩლიქები დარჩა...

ასეთი იყო ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები ერთიან ოპოზიციაში, რომელიც პირდაპირ ფუთფუთებს განსხვავებულობითა და მიზნის თავისთავადი ხედვით. ანუ, ჭირმა თავი არ დამალა და გამოიჭყიტა.

ოქტომბრამდე უთუოდ კიდევ ბევრი ასეთი გამოჭყეტვა და გამოხდომა იქნება, მაგრამ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სტრატეგიაა მას არამც და არამც არ უნდა დაეფუძნოს. უპირველეს ყოვლისა, თავის ჩასვრილ საქმეებს უნდა მიხედოს და ისე დაარტყას მოწინააღმდეგეს არჩევნებში. ამ დარტყმით თავისთავად გამოიკვირტება უმთავრესი შედეგი: ვინ უნდა ხალხს, ვის აბარებს ხელისუფლებას: სახელგატეხილ ნაცებს, გაერთიანებულ ოპოზიციას, რომელიც, კაცმა არ იცის, ვის, რას და რატომ ეტორღიალებიან, თუ „ქართულ ოცნებას“. ბოლოს და ბოლოს, იმ სპეკულაციას მაინც მოეღება ბოლო, რომელიც აგრერიგად ეფექტურად აქვს მომარჯვებული გაურკვეველი მრწამსისა და მსოფლმხედველობის მქონე გუბაზ სანიკიძეს: **„ხალხს შია!“**

„ხალხს შია!“ — წარბს შეიკრავს და ამოიქშენს ხოლმე უღმერთოდ გამძღარი გუბაზი და ქონად ქცეულ ლოყებს მხრებზე გადაიფენს.

ხალხს შია, მაგრამ ამის „აღმოსაჩენად“ გუბაზი კვლავ პარლამენტში კი არ უნდა წამოგორდეს ჩასათვლემად, არამედ კონკრეტული რამ უნდა შემოგვთავაზოს მშიერთა დასაპურებლად.

ეს „აღმოჩენა“ მარტო გუბაზს არ ეკუთვნის, ბევრნი მოიმარჯვებენ ხოლმე „ოცნების“ გასამტყუნებლად და დასაწიხლად. თუმცა, მთავრობა უკვე დგამს საქმიან ნაბიჯებს ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, რაც ოცნების პოზიციას განამტკიცებს, ისევე, როგორც პანდემიის წინააღმდეგ მარჯვე, წარმატებული მოქმედება.

ალეკო ასლანიშვილი

კახეთის გაზიფიცირებული სოფლები

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი კახეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებს: არხილოსკალოსა და ქვემო ქედს ეწვია, სადაც ცოტა ხნის წინ სოფლების გაზიფიცირების პროცესი დასრულდა. ნათია თურნავა პირადად გაეცნო შესრულებულ სამუშაოებს და სოფლის მოსახლეობას შეხვდა.

ეკონომიკის მინისტრმა სოფლის მოსახლეობას გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება მიულოცა და ის სახელმწიფო პროგრამები გააცნო, რომლებშიც მონაწილეობა შეუძლიათ, მათ შორისაა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. ღონისძიების ფარგლებში გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ორგანიზებით, სოფელ არხილოსკალოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, მარტოხელა დედას, მარიამ ბექაურს და ქვედა ქედში მცხოვრებ ნიკო ქისტაურის 4-შვილიან ოჯახს საჩუქრად გაზქურები გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ გაზიფიცირების მასშტაბური პროგრამის ფარგლებში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 8 სოფელში: ზემო ქედში, ქვემო ქედში, არხილოსკალოში, საბათლოში, ფიროსმანში, სამთაწყაროში, ჭოეთსა და თავწყაროში. პროექტის ფარგლებში ჯამურად აშენდა 181 173 გრძივი მეტრი გაზსადენი, რომელიც 3203 ადგილობრივ მოსახლეს ბუნებრივი გაზით სარგებლობის საშუალებას აძლევს. სამუშაოების ღირებულებამ 6 595 799 ლარი შეადგინა.

ბოლო დროს ბევრი სასიკეთო ცვლილება ხდება დედაქალაქის ცხოვრებაში. ლამაზდება და შენდება ახალი სკვერები, პარკები, დასასვენებელი ცენტრები. მთელი ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს ავტომაგისტრალებისა და შიდა სარგებლობის გზების მოწესრიგება-განახლება,

ვიხსნათ დედაქალაქი მჯღაბნელებისგან!

გალაკტიონის ხიდი

რესტავრაცია უტარდება დედაქალაქის ძველ უბნებსა და ისტორიულ ძეგლებს.

მოკლედ ქალაქს თავკაცის ხელი დაეტყო და ეს ყველას გვახარებს, რადგან ბოლო წლებში იმდენი რამ გაკეთდა, რაც ათეულობით წელია, ან არ, ან ვერ კეთდებოდა. მაგრამ ყოველივე ამასთან ჩემი გულისტკივილი მინდა გამოვხატო ერთი, მე ვიტყოდი, საშინელი ტენდენციის მიმართ, რომელმაც ბოლო წლებია, ჩვენს ქალაქში ფეხი მოიკიდა — ეს გახლავთ ე. წ. კედლის მხატვრობა, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს უცხოეთში უკვე მოდაში შემოსულ STREET APT-ისგან. ევროპის მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ბევრგან მინახავს ამგვარი მიმდინარეობის ნიმუშები, მაგრამ იქ ყველაფერი კანონით რეგულირდება — კედლის მხატვრობის შესანიშნავ, და ვიტყოდი, მაღალი ხელოვნების ნიმუშებს ნახავთ ქალაქის სკვერებში, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ხაზების გასწვრივ დამცავ კედლებზე, კერძო მფლობელობაში არსებულ სახლების ფასადებზე. ბევრგან კონკურსებიც კი ტარდება, მაგრამ რაც ჩვენს დედაქალაქში ხდება, ეს ვანდალიზმია და არავითარი საერთო არა აქვს ჭეშმარიტ ხელოვნებასთან. ათასგვარი შინაარსის წარწერებით, უგემოვნო ნახატებითა და უცხოური სიტყვებით (ხშირ შემთხვევაში უცენზურო) მოხატული დაწესებულებების ფასადები, გამოჩენილ ადამიანთა ძეგლები, საცხოვრებელი სახლების კორპუსები, მართლაც განუკითხაობის შეგრძნებას ტოვებს.

ნატო ვაჩნაძის ძეგლი

არც ერთ კულტურულ და კანონის პატივისმცემელ სახელმწიფოში არ დაუშვებდნენ ამას, რადგან ის კანონით იკრძალება. ალბათ დროა, ჩვენც ხმა ავიმაღლოთ, ალბათ არსებობს ჩვენთანაც ამის ამკრძალავი კანონი, და მკაცრად დავსაჯოთ „დედაქალაქის მჯღაბნელები“.

როგორც ვიცი, დედაქალაქის მერის ინიციატივით მიწისქვეშა გადასასვლელებში და იქ არსებულ სივრცეების მოხატვაზე შესაბამისი ინიციატივაც იყო. მაგრამ მთელი დედაქალაქის მოხატვა მართლაც ვანდალიზმის სახეს იღებს.


მეცნიერებათა აკადემიის შენობის ფასადი

იქნებ დედაქალაქის მერიის ან საკრებულოს შესაბამისმა სამსახურებმა მაინც მიაქციონ ყურადღება ამ საშინელ, სამარცხვინო გატაცებას და გადავარჩინოთ ჩვენი ქალაქის შენობების ფასადები „ვაი-ხელოვანთა შემოქმედებისგან“.

პატივისცემით
მალხაზ დოლიძე,
ძირძველი თბილისელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ავტორის ფოტოები

◎ **პროფესორის წინადადება**

მალე ვიხილავთ ჟანგბადით გაჯერებულ და გამწვანებულ თბილისს, თუ?!

ძალაძ თბილისის მერიას იმ კეთილ და სასარგებლო საქმიანობასთან ერთად, რაც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურისა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სასურველია უჟანგბადო ატმოსფეროთი, მანქანებისა და საწარმოების გამონაბოლქვი ბუღით დაფარული თბილისი, რაც კარგად გამოჩნდა პანდემიის პირობებში ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვის დროს, დროულად გადავდგათ სათანადო ნაბიჯები, რათა თბილისი და თბილისელები ვიხსნათ ეკოლოგიური კატასტროფისგან.

კარგად უნდა გავითავისოთ, რომ დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმები ვერ იარსებებენ წყლისა და მცენარის გარეშე, რომელთა მეშვეობით ხდება ნახშირორჟანგის შთანთქმა და მის ხარჯზე ჟანგბადის წარმოქმნა. მართალია, მერიის წყალობით ბაშვებისთვის მრავალი დასასვენებელი და გასართობი ეზო-ბაღები მოეწყო, მაგრამ ქალაქში ჟანგბადის შემცირება მალე სერიოზული პრობლემა გახდება.

მას შემდეგ, რაც გადაიწვა ამაზონისა და ავსტრალიის ტყეები, რომელთა მეშვეობით დედამიწაზე ჟანგბადის საერთო მოცულობა 20%-ით შემცირდა და არაა გამორიცხული, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდეს, ხომ არ გველის აპოკალიფსი? სახიფათო ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, დროა, ვიფიქროთ მოსახლეობის ჟანგბადით უზრუნველყოფისთვის ქალაქის არაორდინალური გამწვანების გზებზე. გამოსავალია, ის რომ მოვახდინოთ ქალაქის მრავალსართულიანი შენობების ბეტონის ათასობით კვადრატული მეტრის თავისუფალი კედლები გარედან შევმოსოთ და გავამწვანოთ ევროპასა და ნაწილობრივ საქართველოშიც გავრცელებული ხვიარა მცენარეებით, კერძოდ, სუროთი, სვიათი და ამერიკული ხვიარათი (შემოდგომაზე წითელი ფოთლებით). მალე ამ ღონისძიების შედეგებზე იტყვიან, მეტად ლამაზი და სასარგებლო საქმე გაკეთდაო. გამოსავალი მარტივია, ბოტანიკური ბაღის მესვეურებს უნდა დაევალოს, უზრუნველყონ მშენებლები საჭირო მცენარეების ნერგებით და მოხდეს მათი დარგვა. შედეგად, ქლაქის გამწვანება და ჟანგბადით გაჯერება აგვაცილებს მოსალოდნელ ეკოლოგიურ აპოკალიფსს. მერიას და მის თანამშრომლებს ვუსურვებ წარმატებებს ამ იდეის გახორციელებაში, თბილისის გარდა, იქნებ ტურისტულ ქალაქებსა და დასახლებებშიც განხორციელდეს მსგავსი აქციები, რაც კიდევ უფრო დაამშვენებს საკურორტო ქალაქებსა და მის სავიზიტო უბნებს.

ნუგზარ ალექსიძე,
პროფესორი.

ვანდალიზმი სოფელ გომანში

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტმა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გომანში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაზიანების ფაქტზე სისხლის სამართლებრივი მოკვლევა დაიწყო. ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს. მათივე ცნობით, გამოძიება სააგენტოს ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის მიერ 4 ივნისს სოფელში მდებარე სომხური ეკლესიის ტერიტორიაზე გამოვლენილ მიწის უნებართვო სამუშაოებს ეხება.

„ადგილზე დათვალიერების შედეგად, უკვე დადასტურებულია ეკლესიის სამ (დასავლეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი) ფასადთან მიწის ფართობზე მძიმე ტექნიკით მუშაობის კვალი, რის გამოც დაზიანებულია ეკლესიის ეზოში მდებარე სამარხები. სპეციალისტების მიერ დაფიქსირებულია სამარხიდან ამოყრილი ადამიანის ძვლები, რომლებიც ტაძრის გარშემოა მიმობნეული. დაზიანებულია ეკლესიის შესასვლელთან არსებული ზღურბლის ქვაც. პოლიციური მოკვლევის შედეგად, უნდა დადგინდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე უნებართვო სამუშაოების განმახორციელებელი პირთა ჯგუფი, რომელთაც სამართლებრივი პასუხისმგებლობა განესაზღვრებათ. პარალელურად, სააგენტოს ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ დადგინდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაზიანებათა ხარისხიც“, — აღნიშნულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

ეკლესიას საფრთხე არ ემუქრება

სოფელ ნაღვარევის ეკლესიასთან მშენებლობა არ წარმოებს და შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია ეკლესიის დანგრევის საფრთხის შესახებ არ შეესაბამება სიმართლეს, — ამის შესახებ ინფორმაციას დუშეთის მუნიციპალიტეტი ფეისბუქგვერდზე ავრცელებს.

„გვსურს გამოვეხმაუროთ სოფელ ნაღვარევის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე თითქოსდა მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას: პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ეკლესიასთან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით დაწყებული უნებართვო მშენებლობა შეჩერდა თავიდანვე სწორედ დუშეთის მუნიციპალიტეტისა და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გაფრთხილების საფუძველზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტს აღნიშნულ ადგილზე რაიმე სახის ობიექტის მშენებლობისთვის არც ერთი კომპანიისთვის ნებართვა არ გაუცია. ამჟამად მიმდინარეობს საკითხის სრული შესწავლა, რის შემდეგაც მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები და ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება საზოგადოებას. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ სოფელ ნაღვარევის ეკლესიასთან მშენებლობა არ წარმოებს და შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია ეკლესიის დანგრევის საფრთხის შესახებ არ შეესაბამება სიმართლეს. დუშეთის მუნიციპალიტეტი არ დაუშვებს, რომ სოფელ ნაღვარევის ეკლესიას შეექმნას რაიმე საფრთხე“, — აღნიშნულია განცხადებაში.

24-საათიანი წყალმომარაგება დმანისის სოფლებში

40 წლის შემდეგ პირველად, დმანისის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის (ამამლო, ბაზაქლო, მამიშლო, ვაკე, ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, დაღარი, ჯავახი) მოსახლეობას სასმელი წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ცნობით, სოფელ მთისძირში აქტიურად მიმდინარეობს წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების/რეზერვუარისა და მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ღირებულება 1068 169 ლარს შეადგენს.

რისმაგ გორდეზიანი – ღირსებით განვლილი ოთხმოცი წელი

ოთხმოცი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის რისმაგ გორდეზიანის დაბადებიდან.

რისმაგ გორდეზიანი თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობით, საერთაშორისო ავტორიტეტითა და აღიარებით არა მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის, არამედ ფილოლოგიურ და ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და მის ფარგლებს გარეთაც.

რისმაგ გორდეზიანის სამეცნიერო ინტერესების სფერო ფართოა და მოიცავს როგორც ვიწრო დარგობრივ, ისე ფართო ჰუმანიტარულ პრობლემატიკას, რომლის კვლევის დროსაც ავტორი მთელი რიგი სამეცნიერო პრობლემატიკის სრულიად ახლებურ გააზრებას გვთავაზობს და თავისი ნოვატორული მიდგომებით როგორც ქართული, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა.

რისმაგ გორდეზიანის სამეცნიერო კვლევის სფეროებია: ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ბერძნული ცივილიზაციის ისტორია, ბერძნული მითოლოგია, ჰომეროლოგია, ბერძნული ენათმეცნიერება, ეგეისტიკა, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, ბერძნულ-რომაულ-ქართული ურთიერთობები.

რისმაგ გორდეზიანი არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 30-მდე წიგნის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოში, გერმანიაში, რუსეთში, საბერძნეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და უკრაინაში. მისი წიგნები გამოცემულია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. რისმაგ გორდეზიანის მონოგრაფია Проблемы гомеровского эпоса დღემდე გამოიყენება ანტიკური ლიტერატურისა და ჰომეროლოგიის სახელმძღვანელოდ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ხოლო გერმანიაში დასტამბული მისი ნაშრომები ჰომეროსის მკვლევართა სარეკომენდაციო ყველა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიაშია შესული.

რისმაგ გორდეზიანი არის მკვლევარი, რომელმაც საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას ჰომეროსის პოემების ცალკეულ საკამათო საკითხთა ახლებური და დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებული გადაწყვეტა შესთავაზა. ასევე ნოვატორულია მისი ხედვები და ჰიპოთეზები მედიტერანულ-ქართველური მიმართებების სფეროშიც.

რისმაგ გორდეზიანის წყალობით ქართულ საუნივერსიტეტო საზოგადოებას და უბრალოდ ქართულ ინტელექტუალურ წრეებს საშუალება აქვთ, რომ მშობლიურ ენაზე გაეცნონ ელინისტიკის სფეროში მის მიერ შექმნილ ორიგინალურ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც გათვალისწინებულია კლასიკური ფილოლოგიის უახლესი საერთაშორისო მიღწევები და ცალკეულ შემთხვევებში პრობლემათა ორიგინალური ხედვაც არის წარმოდგენილი (მაგალითად, იხ.: ბერძნული ცივილიზაცია, კლასიკური ფილოლოგიის შესავალი, ბერძნული ლიტერატურა, ძველი და ახალი ბერძნული ენების შედარებითი გრამატიკა, ბერძნული მითების სამყარო და სხვ.).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რისმაგ გორდეზიანის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელებული ინტერდისციპლინური პროექტი „ანტიკური კავკასია“, რომელიც ქართულ საზოგადოებას უპრეცედენტო მასშტაბის ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური პროფილის უახლეს ენციკლოპედიას სთავაზობს.

რისმაგ გორდეზიანს 40-ზე მეტ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში აქვს მონაწილეობა მიღებული როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც (საბერძნეთი, გერმანია, რუსეთი, ბელარუსი, სომხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი და სხვ.).

რისმაგ გორდეზიანის პედაგოგიური საქმიანობა 45 წელზე მეტს ითვლის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა (სადაც იგი 1967 წლიდან სხვადასხვა სტატუსით მოღვაწეობს), როგორც მოწვეულ პროფესორს, მას სასწავლო კურსები და საჯარო ლექციები წაკითხული აქვს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასა და წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (საბერძნეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, ნორვეგია და სხვ.).

რისმაგ გორდეზიანის პედაგოგიურ საქმიანობას ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოარჩევს: იგი არის 40-მდე დისერტანტის ხელმძღვანელი და ელინისტთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი. იგი თანაბრად ზრუნავს როგორც თავის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაზე, ისე ახალგაზრდა, პერსპექტიულ მკვლევართა პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მათ ინტეგრაციაზე, რაც საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ.

რისმაგ გორდეზიანი არის არა მხოლოდ მრავალმხრივი და პროდუქტიული მკვლევარი და განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭითა და უნარებით დაჯილდოებული ლექტორი, არამედ გამორჩეული ორგანიზატორი, არა ერთი შესანიშნავი იდეის ავტორი და განმახორციელებელი. სხვადასხვა დროს იგი იყო თსუ ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის დამაარსებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, თსუ პრორექტორი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ფუძემდებელი და მისი დირექტორი.

რისმაგ გორდეზიანის თაოსნობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებას – ახალ ბერძნულ ფილოლოგიას, რომელიც დღემდე მისი უშუალო თანადგომით ვითარდება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ასევე რისმაგ გორდეზიანის მიერ დაარსებული საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, რომელმაც არსებობის მანძილზე 200-ზე მეტი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, თარგმანი და ლექსიკონი დაბეჭდა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ რისმაგ გორდეზიანის ხელმძღვანელობით დაიწყო პოსტსაბჭოთა პერიოდში მოქმედი ერთსაფეხურიანი სისტემის ეტაპობრივი გადასვლა ორსაფეხურიან სისტემაზე, რაც იმ დროისთვის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორული და პროგრესული ნაბიჯი იყო. გარდა ამისა, თსუ-ში კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დაარსებით რისმაგ გორდეზიანმა შემოგვთავაზა ფაკულტეტის მოწყობის ახლებური ხედვა, სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოდელი, რომელიც მოგვიანებით მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით დაინერგა, როგორც ძალიან მოქნილი და ეფექტური სტრუქტურული ერთეული.





რისმაგ გორდეზიანის სამეცნიერო და ორგანიზატორული მოღვაწეობის ერთგვარი სინთეზია მისი სარედაქციო საქმიანობა. სხვადასხვა წლებში იგი იყო მის მიერ დაარსებული საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების „ფაზისისა“ და „კავკაზიკის“ რედაქტორი, ჟურნალ „რელიგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, გერმანულ სამეცნიერო ჟურნალ „ფილოლოგუსის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

რისმაგ გორდეზიანის მრავალმხრივი ინტელექტუალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღიარებული და დაფასებულია როგორც ქართული საზოგადოების, ისე სახელმწიფოს მხრიდან. იგი არის საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, არჩეულია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ცივილიზაციათა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ. ნაშრომებისათვის ჰომეროლოგიასა და ეგეისტიკაში მინიჭებული აქვს თსუ პირველი ხარისხის, რესპუბლიკური და საკავშირო პრემიები; დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით და პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით.

რისმაგ გორდეზიანის დიდ საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი არის საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, CollegiumEuropeum-ის წევრი (გერმანია).გარდა ამისა, იგი არის საბერძნეთის ღირსების ორდენის ერთადერთი ქართველი კავალერი.

მრავალჟამიერ სიცოცხლესა და წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ რისმაგს მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



ვაქცინა რელიგიაში შეჭრილი ინფექციის წინააღმდეგ



(პირველი გვერდიდან)

ასევე საგულისხმოა, რომ ცნობილმა შიდსმა, იმუნოდეფიციტის ვირუსმა, 1980 წლიდან მოკიდებული 35 მილიონი კაცის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ არავის გაუგია, რომ ამ ვირუსის ძირითადი გამავრცელებლები, ნარკომანები და ჰომოსექსუალები, დანარჩენი საზოგადოების დაცვის მიზნით ცალკე „კლასტერად“ გამოეყოთ (მედიკოსების ტერმინოლოგიურ ნოვაციას გვერდი ვერ ავუარე), ან მათი თავშეყრის ადგილები ეპიდემიურ კერებად გამოეცხადებინათ!

დაბოლოს, თუ ამერიკელების მიერ საქართველოში ამოქმედებული ლუგარის ლაბორატორია არის ერთადერთი დაწესებულება COVID-19-ის ანალიზის ჩასატარებლად, მაშინ რა გამოდის: აქამდე ინფექციის, მით უმეტეს გრიპის ნაირსახეობის, დიაგნოზს ჩვენთან ვერ ადგენდნენ? – არავის უნდა გაუკვირდეს ეჭვების გაჩენა ამ ე.წ. მეგობარი ქვეყნის მიმართ, რადგან იდეოლოგიური თვალსაზრისით უკვე საკმაოდ დიდი მასალა დაგროვდა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს შორის მორალურ შეუთავსებლობაზე მეტყველებს. ამიტომ მედიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რომელიმე თვალსაზრისის მხარდასაჭერად აშშ-ის ავტორიტეტით სარგებლობა მიზანშეწონილი არ არის.

თუ საზოგადოება „გმირ ექიმებს“ პროფესიონალიზმის გამო ამჟამად პატივს მიაგებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ხვალ ან ზეგ უფრო მასშტაბურად არ მოუწევს დღევანდელი მოვლენების შეფასება; მათ შორის, თვით ლუგარის ლაბორატორიის დირექტორის პაატა იმნაძის იდუმალი განცხადებისა: „უამრავი რაღაც იწერება, მაგრამ ეს ვირუსი მართლა არავინ არ იცის“ (21.04.2020).

შხამი კურაევის ფიალაში

კაცობრიობამ **საშინელ ეპიდემიათა მიერ გამოწვეული მრავალი განსაცდელი გადაიტანა. მხოლოდ შავმა ჭირმა VI-VIII სს-ში 90 მლნ., XIV ს-ში 200 მლნ., ხოლო ესპანურმა გრიპმა XX ს-ში 100 მლნ. ადამიანი შეიწირა. მიუხედავად ყველაფრისა, 17 საუკუნის წინ წმ. იოვანე ოქროპირის მიერ შემოღებული წესი მარწუხის (საზიარებელი კოვზის) გამოყენებისა დღემდე ეკლესიის უცვლელ ტრადიციად შემოინახა და არც ერთი ეპიდემია მისი შეცვლის მიზეზად არასდროს ქცეულა.**

უფალი იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სისხლი და ხორცი ყოველი ქრისტიანის აუცილებელი სულიერი საზრდოა, რომელიც ამქვეყნად ქრისტესთან თანამყოფობის პირობას, ხოლო იმქვეყნად ცათა სასუფევლის დამკვიდრების საწინდარს წარმოადგენს. ეკლესია ზიარების საიდუმლოს, ანუ ევქარისტიის გარეშე არ არსებობს. ამიტომ ეკლესიის წევრად ვერ ჩაითვლება ის, ვინც არ ეზიარება.

ევქარისტია უდიდესი სიყვარულის გამოხატულებაა, ამბობს წმ. იოვანე ოქროპირი. მართლაც, ადამიანური სიყვარულის ანალოგიითაც შეიძლება ავმაღლდეთ სრულყოფილებამდე, თუ წარმოვიდგენთ საყვარელი ადამიანების მონატრების, მათთან სიახლოვისა და განუშორებლობის წყურვილს. ქრისტესმიერი სიყვარული კი ყოველივე გრძნობას აღემატება და მან ყველა მსურველს არა მარტო მისი ხილვისა და შეხების, არამედ ევქარისტიის საშუალებით მასთან შეერთებისა და მისით აღვსების შესაძლებლობა მისცა. მისივე სიტყვით: „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“ **(იან. 6, 56).**

მართლმადიდებელი ეკლესიის მტრებს შური, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ სიყვარულისადმი ამოძრავებთ და შემდგომ კი ყოველივე იმის მიმართ, რაც ევქარისტიის აღსრულებას ემსახურება. მარწუხიც, ეს პატარა წმიდა ჭურჭელიც, თანამედროვე ლიბერალთა და ე.წ. თეოლოგთა მხრიდან თავდასხმის ობიექტად იმიტომ გადაიქცა, რომ ინფექციის გადაცემის მიზეზად ჯერ იგი წარმოეჩინათ, მერე კი – მისი საშუალებით მორწმუნეთათვის მიცემული წმიდა ძღვენი.

სწორედ ამ მიზნით სოციალურ ქსელში რუსეთის ეკლესიის ყოფილმა პროტოდიაკონმა ა. კურაევმა გამოაქვეყნა სტატია „საწამლავი ბარძიმში“, რომლის ქართული ვარიანტი მცირე კომენტარითა და დიდად ამბიციური იდეებით განთავსებულია „წმ. გრიგოლ პალამას სახ. მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცენტრის“ ვებგვერდზე. ამ ცენტრმა ჩვენი ყურადღება არა მარტო პრეტენზიული განცხადებებით, არამედ გამოკვეთილი ტენდენციურობითაც მიიქცია. ალბათ, მომავლისთვის ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, მაგრამ მანამდე მათსავე ნათქვამს გავიმეორებთ იმის შესახებ, რომ „ცენტრის წევრები არიან ის ქართველი სტუდენტები, რომლებიც საღვთისმეტყველო ცოდნას ბერძნულენოვან სასწავლებლებში იღრმავებენ“, „აღნიშნული გაერთიანება სრულიად დამოუკიდებელია“.

ჩვენი მხრივ მხოლოდ შევნიშნავთ: ცენტრის საიტზე დადებული მწირი ინფორმაციის მიუხედავად, ჩანს, ამ სრულიად დამოუკიდებელი სტუდენტების ქართველობა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნიან, ან მისი იერარქიის ოფიციალურ პოზიციას იზიარებენ!

ახლა კურაევის სტატიის მთარგმნელის იოანე შოშიაშვილის კომენტარს გავეცნოთ: „ანდრია კურაევს მოყავს ისტორიული ფაქტები, როდესაც წმიდა ზიარებაში შერეული საწამლავის შედეგად, კონკრეტული ადამიანების მოკვდინებას ჰქონდა ადგილი... აქ ისმის სავსებით ლეგიტიმური კითხვა, რომ თუკი ევქარისტია ვერ ანეიტრალებს შხამს, შეუძლია მას გაანეიტრალოს სხვადასხვა სახის ვირუსები? რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ევქარისტია ანეიტრალებს სიტყვაზე Covid-19-ს და ვერ ანეიტრალებს შხამს, რადგან თუკი ანეიტრალებს ერთს, უნდა ანეიტრალებდეს მეორესაც... დღეს საღვთისმსახურო პრაქტიკაში დამკვიდრებული „კოვზის ტრადიცია“ კიდევ უფრო ზრდის იმის შანსს, რომ ადამიანები სწორედ ზიარების დროს დაინფიცირდნენ... ეკლესიას შეუძლია იზრუნოს თავის შვილებზე... და შეცვალოს ზიარების მიღების წესი, ხაზს ვუსვამ, ზიარების მიღების წესი და არა თავად ევქარისტია“ (სტილი დაცულია).

რატომ მისცა თავის თავს უფლება „ახალგაზრდა თეოლოგმა“ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე აზრის გამოთქმისა, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ საერთოდ საჭირო იყო თუ არა აღნიშნული სტატიის თარგმნა, ამას ქვემოთ წარმოდგენილი მისი ანალიზი დაგვანახებს.

პირველ რიგში, საკითხის დაკონკრეტების მიზნით, განვმარტავთ, რომ ა. კურაევის მიერ მოძიებული ისტორიული ამბებიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ორს, რადგან დანარჩენი ცნობები არამართლმადიდებლური ეკლესიების ცხოვრებას უკავშირდება და ჩვენი განსჯის საგნად ვერ ვაქცევთ საიდუმლოთა ძალას იმ ლიტურგიებისა, რომელთა შორის მადლი არ მოქმედებს.

პირველი **ცნობა ისტორიკოს თ. უსპენსკის (1928 წ.) თხზულებიდან არის დამოწმებული, რომლის მიხედვით ტაოს მეფე დავით III კურაპალატი მთავარეპისკოპოსმა ილარიონმა წმ. ზიარებაში შერეული საწამლავით მოაკვდინა, პასექის ანუ აღგდომის დღესასწაულზე 1000 წლისა (და არა – 1001 წელს, როგორც ი. შოშიაშვილი „თარგმნის“). „ქართლის ცხოვრება“ (თბ., 2008) დავითის აღსასრულზე არავითარ განსაკუთრებულ ცნობას არ იძლევა, ხოლო მთავარეპ. ილარიონს საერთოდ არ იცნობს. „მატიანე ქართლისაჲ“ გვამცნობს: „აღიღო დავით ჰერეთი. შემდგომად მცირისა ჟამისა მიიცვალა“ (იქვე, გვ. 271); ხოლო სუმბატ დავითის ძე წერს: „გარდაიცვალა დავით, დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისაჲ, ქრონიკონსა :სკა:“ (იქვე, გვ. 369), ე.ი. 221+780=1001 წელს.**

აქედან გამომდინარე, თ. უსპენსკის წყარო შეუძლებელია ყოფილიყო ქართული მატიანე, ან უშუალოდ სომხური ისტორიები, არამედ ეს არის, როგორც ჩანს, დიმიტრი ბაქრაძის მიერ დამოწმებული ფრანგულენოვანი თხზულება[1], რომელშიც წარმოდგენილია ევარისტ პრიუდომის შენიშვნები არ. ლასტივერტეცის „სომხეთის ისტორიაზე“[2]; ასევე, როგორც ქართველი ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, პრიუდომს სომხის სხვა ისტორიკოსთა ამბებიც ჰქონია მიმოხილული: „სომხითის მწერალნი გვარწმუნებენ, ვითომც დავით მოწამლული იქმნა და ვითომც იმის სიკვდილში ერია ქართველი მღვდელთმთავარი ილარიონი“[3]; „სომხის წყაროები არ გვიჩვენებენ, რომელ წელს დაჯდა დავით ტახტზე; იმის სიკვდილის დროს კი იხსენიებენ პასექის დღეს 1000 წ“[4].

რუსი ბიზანტოლოგისა და ფრანგული გამოცემების ცნობები იდენტურია, მაგრამ ისინი უყურადღებოდ ტოვებენ ჩვენთვის ერთ ფრიად მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც თვით სომხურ წყაროებში არის აღწერილი. საქმე ისაა, რომ მიუხედავად მთელი ამ „ვითომც“ ისტორიული ამბისა, მათეოს ურჰაეცი და არისტაკეს ლასტივერტეცი არა თვით მოწამლვის ფაქტს აღიარებენ დავითის გარდაცვალების მიზეზად, არამედ ეპისკოპოსის (მ.უ. მიხედვით) ან ჯარისკაცების (ა.ლ. მიხედვით) მიერ მეფის გაგუდვას ძილის დროს. ციტატები სომხური ისტორიებიდან თვით ა. კურაევსაც აქვს მოყვანილი, ამიტომ ამ საკითხზე ყველაფერი ცხადად გამოიკვეთა: სომხური წყაროებიდან მომდინარე ამბავი დავით კურაპალატის მოწამვლის შესახებ, მიუხედავად მისი საეჭვო წარმომავლობისა, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ დავითის გარდაცვალება არა წმიდა საიდუმლოში შერეულმა საწამლავმა, არამედ მასზე ძალადობამ გამოიწვია.

მეორე **ისტორიული ფაქტი, რომელიც, პირველის მსგავსად, კრიტიკას ვერ უძლებს, აღწერილია „ბიხოვეცის ქრონიკაში“ (და არა – „ბიხოვცის“, როგორც ი. შოშიაშვილი „თარგმნის“). სახელწოდება მას მიანიჭა ლიტველმა ისტორიკოსმა თეოდორე ნარბუტმა, რომელსაც მემამულე ალექსანდრე ბიხოვეცმა თავის ბიბლიოთეკაში დაცული ძველი ხელნაწერი გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი ნაკლული აღმოჩნდა, მას საწყისი, შუა და ბოლო ფურცლები არ შერჩენოდა, მასში აღწერილი ისტორიული მოვლენების მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1846 წელს თ. ნარბუტმა „ბიხოვეცის ქრონიკის“ ტექსტი ბეჭდურად გამოსცა.**

ქრონიკის თავისებურება ისაა, რომ ტექსტი დაწერილია რუსულ ენაზე, ოღონდ არა რუსული ანბანით, არამედ პოლონური ტრანსკრიფციით! „ქრონიკის“ ხელნაწერის თავგადასავალზე საუბარს, ბუნებრივია, ჩვენ ვერ განვაგრძობთ, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამჟამად გარდა პოლონური ტექსტისა, რუსული თარგმანიც გამოცემულია. ა. კურაევს ციტატა პოლონური ტექსტიდან აქვს დამოწმებული, მაგრამ რუსული თარგმანის საკუთარი ვარიანტიც იქვე მოყავს, რომელიც ადრე გამოცემული ტექსტისაგან შინაარსობრივად არ განსხვავდება.

„ქრონიკიდან“ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი XV ს-ის შემთხვევას უკავშირდება, როცა თავადი მიხეილ სიგიზმუნდოვიჩი, ანუ მიხაილუშკო სიგიზმუნდის ძე, მოსკოვის ერთ-ერთ მონასტერში ჟამისწირვას ესწრებოდა. რუსული თარგმანის მიხედვით: „იღუმენმა, რომელსაც არ უყვარდა იგი, ზიარებაში[5] (в причастии) ძლიერ მომწამლველი შხამი მისცა. მან ეს ზიარება (причастие) სწრაფად მიიღო და გადაყლაპა, და იქვე დავარდა და მოკვდა. ხოლო იღუმენი, მისი ასეთი მსწრაფლ აღსრულების გამო, შეშინდა, თვით მიიღო ზიარება (причастие) და ისიც იქვე მოკვდა“[6].

ახლა ეს თარგმანი შევუდაროთ დედნისეულ ტექსტს: 1. პირველ წინადადებაში „в причастии“-ის ნაცვლად დედანში წერია „в доре“ (პოლონური ტრანსკრიფციით: w dore)[7]. ეს არის „ბიხოვეცის ქრონიკის“ რუსულად მთარგმნელის ნ. ულაშჩიკის მთავარი შეცდომა, საიდანაც თანამდევი უზუსტობანი მომდევნო ორ წინადადებაში კიდევ უფრო იკვეთება. საქმე ისაა, რომ რუსული სიტყვა Дора ზიარებას არასდროს ნიშნავდა. ცნობილი ლექსიკოგრაფის ი. სრეზნევსკის (1880 წ.) „ძველი რუსული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია, რომ ეს არის „ajntivdwron antidorum“[8], ანტიდორი, ანუ ნანილი სეფისკვერისა, საიდანაც ამოღებულია ტარიგი, რომელიც შემდეგ ლიტურგიაზე ქრისტეს ხორცად გარდაიქმნება.

რატომ გაიმეორა ასეთი მნიშვნელოვანი დარღვევა დიაკონყოფილმა, შემდეგ კი – მისმა ქართველმა სულიერმა ძმამ, ძნელი მისახვედრი არ არის. ამიტომ სჯობს, ჩვენს განსახილველ ციტატას მივხედოთ და მისი ანალიზი ბოლომდე მივიყვანოთ.

2. მეორე წინადადებაში причастие ნახსენები საერთოდ არ არის და ზმნებსაც სხვაგვარი შინაარსი აქვს. თარგმანისგან განსხვავებით დედანში გვაქვს: „სწრაფად ჩაკბიჩა და შეჭამა“ (скоро укусил и сьел). ზიარების „ჩაკბეჩა და შეჭმა“ შეუძლებელია, ამიტომ მთარგმნელმა პირველ წინადადებაში დაშვებული შეცდომა მეორეს შეუფარდა და დაწერა: „მიიღო და გადაყლაპაო“.

3. დედნისეულ არც მესამე წინადადებაში იხსენიება причастие ხოლო „თვით მიიღოს“ ნაცვლად გვაქვს „თვით იგემა“ (сам вкусил). აქედანაც ჩანს, რომ პოლონურიდან რუსულ ენაზე მთარგმნელი ან საერთოდ ვერ ერკვეოდა იმ ტექსტის შინაარსში, რომელსაც თარგმნიდა, ან საკუთარი მიზანდასახულობის მიხედვით შეგნებულად „ასწორებდა“ დედანს. რადგან „იგემა“ უხერხულ ტერმინად მიიჩნია, სიტყვაც ჩაამატა და მიიღო მცდარი შინაარსი: „თვით მიიღო ზიარებაო“; მაშინ, როცა თავადი მიხეილიცა და იღუმენიც მოწამლული ანტიდორით გარდაიცვალნენ.

რა თქმა უნდა, აქ განხილული ისტორიები გამოგონილიც რომ არ იყოს, ჩვენი ძველი წესებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ვერაფერს ასაბუთებენ. აი, საზიარებელი კოვზისა და ზიარების ცხოველმყოფელი ძალის უარმყოფელთ კი, მგონია, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“!

ბერდიაკონი
გიორგი (რუხაძე)
ფილოსოფიის დოქტორი

(დასასრული მორიგ ნომერში)

[1] *Prud' homme, Histoire d' Armenite Arisdaques de Lasdiverd. paris, 1964.*

[2] *დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ფრანგული ენის სპეციალისტს ქ-ნ რუსუდან ჭანტურიას.*

[3] *ბაქრაძე დ.ზ., ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889. გვ. 239, შენ. 5.*

[4] *იქვე, გვ. 239.*

[5] *იგულისხმება: წმიდა ზიარებაში შერეული.*

[6] *Хроника Быховца, пер. Н. Улацика, Ø. 1966. გვ. 97.*

[7] *Полное Собрание Русских Летоисей ორი გამოცემა არსებობს: ა) т. XVI, СПБ., 1907. სვ. 542. ბ) იგივე სერია: ПСРЛ, т. XXXI, М., 1975. გვ. 159-160.*

[8] *И. Срезневский, Словарь древнерусского языка, т. 1, ч. 1 Москва,. 1989. გვ. 706.*

„ქალი სუყოველ მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

სტრიქონები კოკო შანელის დღიურებიდან

პრუსტზე:

...ხელები აი ასე ეჭირა... ეს ქალური მანერაა. აკი ქალიც იყო. თვალები შესურმული ჰქონდა.

* * *

...ძალიან მორცხვი ვინმე ვარ. მორცხვნი საერთოდ ბევრს ლაპარაკობენ. ხშირად სისულელეს ვაფრქვევ მხოლოდ იმიტომ, რომ სამარისებური სიჩუმე დავარღვიო. ხან ერთი ამბიდან მეორეზე გადავხტები ხოლმე, რათა თავი ავარიდო მდუმარებას. თუ ისე მოხდა, რომ ადამიანთ არ მოსწონთ ჩემი ლაპარაკი, ხელად ვამჩნევ. ეს მაშინ მომდის, როცა ნერვული ბიძგი ამიმუშავდება ხოლმე. ვცხარდები, ვმძვინვარებ. ვიცი, რომ აუტანელი ვარ.

...რატომ არ უნდათ ადამიანებს შინ ჯდომა? ცოლიანებსაც კი... არადა, საჭიროა შინიდან გამოსვლა სუყოველ საღამოს, რათა ეჩვენო ადამიანებს, დაელაპარაკო, აჰყვე მოვლენებს. ისე უნდა იცხოვრო, რომ ყოველდღე რაღაც ამბავი მოხდეს შენს ცხოვრებაში. ჩვენ რომ ცივილიზებული ხალხი ვართ? უნდა ვიჩქაროთ და მუდმივად ვირბინოთ, გზადაგზა თან ვილუკმაოთ, და ხალხი შეეგუება ყოველსავე ამას. პასუხი მარტივია, იმიტომ შეეგუება, რომ სხვაგვარად მოწყენილია ხალხი.

* * *

...პერ დღემოუჭმელი ვიყავი (26 წლისა), ფული სულ არა მქონდა სასტუმრო „რიც“-ში ვცხოვრობდი. ჩემს ფულს სხვა იხდიდა. სავსებით წარმოუდგენელი ვითარება იყო. მთელი პარიზი ამაზე ლაპარაკობდა. მე არ ვიცნობდი ამ მთელ პარიზს. ჯერ სრულიად არცვინ არ მიცნობდა, ვინ უნდა გავმხდარიყავი? რაღაც უნდა გავნძრეულიყავი.

ორი წელიწადი კოპიენში დავყავი, სადაც ცხენს დავაჯირითებდი, მაგრამ ჯირითით ხომ ვერ ირჩენ თავს. და თანაც კიდევ აგრერიგად მიყვარდა „სხვა“, ვალდებული ვიყავი, რომ პარიზში მომეკიდებინა ფეხი. შეუძლებელი იყო კვლავინდებურად ამ ვაუბატონის (ბალსანი) ფულით ცხოვრება. ეს ყოველივე ძალიან რთული რამ იყო ჩემთვის. კეკლუცთ უხდიდნენ, ეს ვიცოდი, მითხრეს. მუდმივად ვეუბნებოდი ჩემს თავს: ნუთუ შენც იმათნაირი გინდა, რომ გახდე – ხარჭა? ღმერთმა დამიფაროს! ამას როგორ ვიზამ?! მე ოჯახი მყავს, სხვა არა იყოს რა. არა და არა...

* * *

...როგორღაც მითხრეს იმხანად ერთი აღიარებული ლამაზმანის პოლინი დე სენ-სოვერის ამბავი. ჩემი გაცნობა უნდოდა თურმე. ერთ ჭიქა ჩაიზე მივიპატიჟე, მერმე მკითხეს, რას ვფიქრობდი მასზე.

– საზიზღარი ვინმეა!

– როგორ თუ საზიზღარი? – ყველას სიცილი აუტყდა. მე მივუგე:

– ბოროტი, სასტიკი და ბინძური გამოხედვა აქვს. თმაზე ბრინჯის პუდრი აყრია, უხეში, მკვეთრი პროფილი აქვს.

ოცდაათი წლისა იყო. ეს იმ ტიპის ქალი იყო, რომელიც დღესაქამომდე საზიზღარ ქალად მიმაჩნია. მაგნაირთ ბევრი რამ მასწავლეს.

* * *

...მარტო პერანგის ამარა დავდიოდი ბაღში ათგრადუსიან ყინვაში. ერთხელ მთლად ოფლიანმა გავიღვიძე, ვერ ვინძრეოდი. სანამ ისევ დავწვებოდი, ჩემი კაბა და პალტო დავიხურე... სულ უფრო და უფრო მაკლია ძალი... ყველა ჩემს საიდუმლოს ექიმს გავუმხელ... რომელიც არც როდის მართალს არ ეუბნებოდა თავის კიურეს.

* * *

ბოი კეიპელზე:

...ჩემი ქალური ცხოვრება მოიშალა. კაცი, რომელიც მიყვარდა, მოკვდა. არც არაფერი აღარ მაგულისყურებდა, ეზოთერიზმის გარდა. ვერ დამეჯერებინა, რომ ყველაფერი სამუდამოდ დამთავრდა ჩვენ შორის.

* * *

...ერთხელ ავდექი და მამაკაცის სვიტერი ჩავიცვი, ისე, შემცივდა და იმიტომ. ეს დევილში მოხდა. ტანზე ხილაგანდით შემოვიჭირე. იმ დღეს ინგლისელებთან ერთად ვიყავი. არცვის იმათგანს არ შეუმჩნევია, რომ მამაკაცის სვიტერი მეცვა. არც არავის არ უთქვამს, რომ მიხდებოდა, რომ სვიტერიანი კარგად გამოვიყურებოდი. ინგლისელებს ამ აზრით არც არაფრის თქმა არ უყვართ. კარგა ხანს ვუცქეროდი, როგორ თამაშობდნენ ცხენბურთს. ვერ მივმხვდარიყავი, ვის ეკუთვნოდა ის სვიტერი, გრეხილი სავარძლიდან რომ ავიღე. გარეთ აგვისტოს მიწურული იყო. ლაპარაკობდნენ ომზე. შორს არ ვყოფილვარ იმ აზრისგან, რომ გერმანელები ომს ეპირებოდნენ, საგანგებოდ, რათა ჩემთვის შლაპების დამზადებაში ხელი შეეშალათ.

* * *

კოკო შანელი ჰერცოგ ვესტმინსტერელზე და იმის მითხოვების წინადადებაზე:

...ჩემი ნამდვილი ცხოვრება მაშინ დაიწყო, ვესტმინსტერელი ჰერცოგი რომ გავიცანი. ბოლოს და ბოლოს ვიპოვე ის მხარი, რაზეც დაყრდნობა შემეძლო, როგორც ხეზე, რომელსაც შეიძლება რომ მიეყუდო... ვითომ რატომ უნდა გამოგყვე ცოლად, კოკო შანელი ხომ ერთადერთია დედამიწის ზურგზე, ეს მაშინ, როცა უკვე სამი ვესტმინსტერელი ჰერცოგინაა?

* * *

...უნდა ითქვას, რომ ძალიან დამეხმარა ომი. როგორც წესი, კატაკლიზმების ჟამს ადამიანი აუცილებლად თავს იმუღავნებს. აგრე გავიღვიძე ცნობილ 1919 წელს. ეს ეჭვადაც არა მქონია. უკეთუ მეცოდინებოდა, რომ ცნობილი გავხდი, გავიქცეოდი და წინანდებურად სადმე კუნჭულში ვიქვითინებდი. მიამიტი და ტუტუცი ვიყავი. არადა, იმათ ეგონათ, კოკო ჭკვიანიაო. სინამდვილეში კი ძალიან მგრძნობიარე და ტუტუცი ვიყავი.

* * *

...მარტო მდიდარ ხალხს ვხვდებოდი. ფული არ მიყვარს და, მაშასადამე, არ მიყვარან ის ადამიანები იმისთვის, რაკი დიდძალი ფული აქვთ. ისინი, ვინც სულ ფულზე ლაპარაკობს, ძალიან მღლიან. აი, რატომ არ მიყვარს არსად წასვლა. აბა, ვის უნდა ისეთი ქალის მიპატიჟება, როგორიც მე ვარ?.. მდიდრებს ღარიბები მირჩევნია... როცა მდიდრები ფულს ხარჯავენ, ძალიან კარგია. ვისაც ფული აქვს, ჩემსავით ხარჯავს. ფული ჩემთვის ყოველთვის „თავისუფლებას“ ნიშნავს. ფული იმის საშუალებას გვაძლევს, დავეხმაროთ იმათ, ვინც აღგვაფრთოვანებს, აგრეთვე შევქმნათ ჩინებული რამ საგნები. მეც ავდექი და ვეხმარებოდი რუსულ ბალეტს და მხოლოდ ერთს ვითხოვდი: არცვის ამის თაობაზე არ უნდა სცოდნოდა.

* * *

...მდელოზე მივდიოდი და საჯინიბოს ახლოისად აღმოვჩნდი. არაკრაკებული წყალი სურნელსაც აფრქვევდა. ისმოდა, როგორ ხმიანობდა საგუბარი. მზე აოქროსფერებდა სანაპიროს. ჟოკეები, მედოღეები მეჯინიბეთ იყვნენ წალიკად ადევნებული, მუხლები ნიკაპებს ჰქონდათ მიჯენილი.

* * *

კოკო შანელს უყვარდა პარიზული ცხოვრების წარმოსახვა:

1. ...მავანმა ბატონმა გაგვაფრთხილა, რომ აღარ გადაიხდიდა თავისი ცოლის კაბის საფასურს. მან ოთხი კაბა წაიღო. მან იმ ოთხი კაბისა გადაიხადა, მაგრამ, როცა ქალი ისევ მოვიდა, ავდექი და ვუთხარი:

– ძვირფასო, დამთავრდა.

– თქვენ ეგრე ვერ მომექცევით ისეთ ქალს, როგორიც მე ვარ!

– როგორ ქალს, ძვირფასო? ყოველთვიურად მილიონს გაძლევენ მოსართავად, შენ კი ვალებს იღებ? სულელი იქნები, თუ გაეყრები. აკი მეუბნებოდი, ჩემი არცრა ქონება არა მაქვს რაო.

2. ...მან ორი კაბა შეუკერა ერთ-ერთ პარიზელ ქალს, რომლის მილიარდერი ქმარიც იმ დროს იქ არ იყო, მაგრამ, როგორც კი ის დაბრუნდა, იმან კიდევ ორი კაბა დაუკვეთა... ფასს მხოლოდ იმ ქალებს ვუკლებ, ძვირფასო, ვისაც ბევრი ფული არა აქვს, მერე? ეს კაბა ძალიან ძვირი ჯდება... ამას მხოლოდ ისინი ყიდულობენ, ვისაც თავის გამოჩენა ხიბლავს.

* * *

კოკო შანელი თავისი გათხოვების ოცნების თაობაზე:

...უბალსანოდ (ოფიცერი, რომელსაც კოკო მაშინ გაეცნო, როცა კაბარეში მღეროდა), ვინმე ერთ-ერთ ბრიყვს გავყვებოდი, გავაჩენდი ბავშვებს და თავ-ბედს ვიწყევლიდი... თავი ჩემს მეგობრად უფრო ეჭირა, საყვარლობას მაინცდამაინც ვერ ვატყობდი... უკვე მერმე ბალსანი მარწმუნებდა, იმ ქალთან წოლა, ვინც არ გიყვარს და ვისაც არ უყვარხარ, ცოტა მოხერხებულიც კიაო...

* * *

კოკო შანელი კარმელ სნოუს:

...ჩემო ძვირფასო კარმელ, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ კიდევ მოვკიდებდი ხელს ჩემს საქმეს, რაც აგრერიგად მიყვარს. ერთხელ გითხარი, ოდესმე სრულიად ახალი სტილის შექმნას დავიწყებმეთქი, რაც ახალი ცხოვრების წესისთვის მორგებული იქნებოდა, ხელსაყრელ დროს ველოდები. ვგრძნობ, რომ ეს დრო სწორედ ახლა დადგება.

უჩვეულო ვითარებაა ამუამინდელ პარიზში, როცა სულ მეტი და მეტი ქალი მოდის კოლექციების გამოფენაზე, ამასთანავე, არცვის კაბის ყიდვის საშუალება არა აქვს. სწორედ ამან გამიჩინა რაიმე ახლის შექმნის აზრი. ერთ-ერთი ჩემი მთავარი ამოცანა დღეს იმ ამერიკელ მეწარმეთა შუამავლობით ბითუმად გაყიდვაა, რომელი მეწარმენიც ცოტა მოგებას არ ნახავენ. ოღონდ, ჩემი ვარაუდით რასაც ვიზამ, დიდი გამოხმაურება მოჰყვება მთელ მსოფლიოში.

ჩემი პირველი კოლექცია უკვე პირველი ნოემბრისთვის მექნება მზად. ვფიქრობ, გონივრული იქნება, თუ მეტს მანამ აღარ მოვამზადებ, სანამ იმისგან წინადადება არ მექნება, ვისზეც თქვენ ფიქრობთ (ფრიად წარმატებული ამერიკელი ფამრიკანტისგან), ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ ის პარიზში ჩამოვიდოდა. ცხადია, არცრა უფრო მეტ სიამოვნებას არ მომგვრის, ვიდრე თქვენი პარიზში იმ დროს ჩამოსვლა, როცა ისიც აქ იქნება. ახლა ამერიკაში ჩემი კოლექციის გამოფენას არ ვაპირებ, ოღონდ ეს შეიძლება რომ ცოტა გვიან მოხდეს.

ბავშვებზე:

...არ ღირს იმ ბავშვისთვის სიცოცხლის ჩუქება, ვინც ვერცვის გულს ვერ გაუხარებს. ამიტომაც წავედი ბებიაქალთან. ხანისად მეჩვენება, რომ ჩემი მთავარი არჩევანი სწორედ იმ დროს მივიტანე, არადა, აბორტი თუ არ იქნებოდა, ვარენის იქით ვერც ვერაფერს ვერ მოვკრავდი თვალს. სკამზე ვიჯექი, გულზე დამარაგებული თეთრეული მქონდა მიკრული, ვდუმდი და ვტიროდი ერთდროულად. მშრალი თვალებით ვტიროდი!

* * *

...რუსული ბალეტის ზოგიერთი მსახიობი მეცოდებოდა, სხვები მიყვარდნენ, იყვნენ ისეთებიც, ვინც თავს მაბეზრებდა, სრულიად არ მომწონდნენ... სუყოველ საქმეში მხოლოდ იმიტომ ვერეოდი, რომ უსიამოვნება რამ დამეტეხა თავს... საპასუხოდ არცრას არ ვიღებდი. ამ ადამიანების მეგობრულ განწყობასაც კი.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-44, 46-48, 51-53, 63-65

ჯორჯ ფლოიდი საღისტურად მოახრჩვეს!..

„ზედამოკრატიული“ ჰეგემონის პრობლემები

XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ცნობილ მწერალ გურამ ფანჯიკიძესთან ერთად აშშ-ში მომიწია ყოფნა. ნიუ-იორკის ცათამბჯენების, გაწკრიალებული მანჰეტენის შემხედვარე მწერალმა, მისთვის ჩვეული იუმორით თქვა – სად არის ბიძია სემი, ზანგისთვის ხელი რომ აქვს ყელში წაჭერილი და მის სისხლს სვამსო?!

საბჭოთა პროპაგანდით ტვინამღვრეულებს ასეთი წარმოდგენა გვქონდა მსოფლიოს მდიდარ და ძლიერ ქვეყანაზე. ჩვენს მეხსიერებაში ჩაბეტონებულ კარიკატურებს, რომლებსაც საბჭოთა ჟურნალ-გაზეთების გვერდები ჰქონდა დაპყრობილი, ერთი ნახვით შეძენილმა შთაბეჭდილებამ კუდით ქვა ასროლინა. ერთი ნახვით, მაგრამ ნიუ-იორკის ცნობილი უბნის ჰარლემის, სხვა ქალაქების, არატურისტული რაიონების მონახულების შემდეგ, ჩვენს პირვანდელ აღფრთოვანებას ბზარი გაუჩნდა.

ჰარლემი – ჭუჭყიანი, ნაგვით სავსე ქუჩებით, ვირთხებით, აგრესიული ფერადკანიანი მცხოვრებლებით, ჩამოტყავებული საცხოვრებელი სახლებით, ყოველ წუთს მძარცველთა მოსალოდნელი თავდასხმით გამოწვეული შიშით, უდავოდ გაფიქრებინებდათ, რომ მდიდარ ამერიკაში კი არა, აფრიკის რომელიმე გაპარტახებულ ქვეყანაში ხართ. ვისაც აშშ-ის ქალაქების ჩინური, ლათინური ან ფერადკანიანთა უბნები არ აქვს ნანახი, მას ამერიკის ცოდნას ვერ დასწამებთ.

საბჭოთა ცხოვრების დასასრულს, კულტურული გაცვლის პროგრამით, ჟურნალისტს, პოლიტოლოგს, ინგლისური ენის უბადლო მცოდნეს **ნუგზარ რუხაძეს**, კარგა ხნის განმავლობაში მოუწია „სი-ენ-ენ“-ში მუშაობა. ტელეკომპანიას აინტერესებდა საბჭოელის თვალით დანახული ამერიკა. რუხაძემაც არ გაუწბილა იმედები და ამერიკელებს აჩვენა „გადაბრუნებული“ ამერიკა, რომელსაც ისინი ყოველდღიურად უყურებდნენ, თუმცა, ყურადღებას არ აქცევდნენ. თეთრკანიანები მყავს მხედველობაში, თორემ შავებმა, კუბელებმა, მექსიკელებმა, სხვებმა ისედაც კარგად იცოდნენ მათი ქვეყნის მოჭარბებული „კეთილდღეობის“ შესახებ.

ფერადკანიანების მძიმე სოციალური ყოფა, რასიზმი, სეგრეგაცია, უმუშევრობა, გაუნათლებლობა, კრიმინალი, სხვა ნეგატიური გამოვლინება არაერთხელ გამხდარა ბუნტის, მკვლელობის საბაბი. სადამსჯელო მოქმედების განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი, სადისტური გრძნობით აღსავსე პოლიცია ბუნტის წამახალისებლად არის ქცეული, რასაც თან ახლავს პოლიციის შენობების დარბევა, საპატრულო ავტომანქანების გადაბუგვა, მაღაზიების ვიტრინების მსხვრევა და ძარცვა, პოლიციელებთან ანგარიშსწორება და ა.შ.

რამდენი ასეთი ბუნტის მომსწრეა აშშ-ი, თუნდაც ბოლო 30-40 წლის განმავლობაში? შედეგი?

სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული სასტიკი და გადამჭრელი ზომების – მეამბოხეთა, მაროდიორთა მასობრივი დაჭერა, ბუნტის ჩაფერფვლა და შემდეგ ბუნტამდე არსებული წესებით ცხოვრების გაგრძელება. არც ერთი ნაბიჯი მდგომარეობის კარდინალური შეცვლისთვის.

ფერადკანიან ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევა სულაც არ გულისხმობდა ცხოვრების წესის ცვლას, რასიზმზე, სეგრეგაციაზე უარის თქმას. ამას რომ ნაწილობრივ მაინც ჰქონოდა ადგილი, არ იქნებოდა ის, რაც დღეს არის. ფერადკანიან პოლიტიკოს ქალთა და მამაკაცთა მაღალ თანამდებობებზე წამოსკუპება (კონდოლიზა რაისი, სიუზან რაისი, კოლინ პაუელი, სხვები და სხვები) მხოლოდ უმნიშვნელო რამაა და არა იმის გამაცამტვერებელი, თეთრკანიანთა ტვინებში რომ არის ჩაბუდებული და რასიზმი ჰქვია.

ყოფილი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი ზედმიწევნით ობიექტურად აღწერს ამერიკელთა ამ განუკურნებელი სენის შესახებ თავის წიგნში („My American Journey“) აშშ-ში „ბესტსელერად“ რომ იქცა. მერე რა? არც არაფერი. პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან. პრობლემები რჩება, რაც შიგადაშიგ საფუძვლიანი ამბოხის მაპროვოცირებელი ხდება.

რასიზმთან ერთად მრავალმა ნეგატიურმა მაგალითმა წამოჰყო თავი ამჟამინდელი ბუნტის დროს. სოციალური უთანაბრობა, სიღატაკე, ნარკომანია, უსწავლელობა, ფერადკანიანთა მიწასთან გასწორებული „უფლებები“, უმუშევრობა (მარტო „კოვიდ-19-მა 47 მილიონი უმუშევარი „აჩუქა“ აშშ-ს), სხვა მრავალი გახდა მასობრივი გამოსვლების ინიციატორი. ნაპერწკალი პოლიციელმა გააჩინა, რომელმაც სრულიად მშვიდობიან ვითარებაში, ხელებშეკრული და მიწაზე გართხმული ზანგი ფეხით დაახრჩო.

გასაოცარია არა მარტო მკვლელი პოლიციელის საქციელი, არამედ სხვა სამი პოლიციელისაც, რომლებიც მშვიდად უყურებდნენ დახრჩობის სცენას და მსხვერპლის პირიდან ამოსროლილ ფრაზებს – ვიხრჩობი, ვეღარ ვსუნთქავო.

კაცის დახრჩობის ვიდეოკადრებმა შეძრა ამერიკა და მსოფლიო. მილიონობით ადამიანი გამოვიდა აშშ-ის ქალაქების ქუჩებში. დაიწვა პოლიციის შენობები, ავტომანქანები, ერთმანეთს შეასკდა ხალხი და პოლიცია. არის გარდაცვლილებიც. რეზინის ტყვიებით დასახიჩრებულთა რაოდენობამ კულმინაციას მიაღწია, მათ შორის ჟურნალისტებიც არიან.

მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა სისასტიკით უსწორდება პოლიცია დემონსტრანტებს, მაგრამ ვითომც არაფერი. აშშ-ის მოკავშირე არც ერთი ქვეყნის ხელისუფალს, ისე, როგორც ადამიანის უფლებების დამცველ „სახელგანთქმულ“ არასამთავრობო ორგანიზაციას კრინტიც არ დაუძრავს პოლიციელთა სისასტიკეზე, თუნდაც იმაზე, პოლიციის ავტომანქანები როგორ იჭრებიან დემონსტრანტთა რიგებში!

არ ისმის ევროკავშირის, ევროსაბჭოს, გაეროს „ავტორიტეტული“ განცხადება ხალხის წინააღმდეგ „არაპროპორციული“ ძალის გამოყენების თაობაზე. ყველა სეირის მაყურებლის როლშია. არადა, სულ სხვა რეაქცია ექნებოდათ მსგავსი რამ მოსკოვში რომ ყოფილიყო.

რუსეთმა, ტრადიციულად, ვერც ამჯერად აიცილა ამერიკელ პოლიტიკოსთა ცილისწამება. ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ის ეთერში გამოსვლის დროს აშშ-ის ყოფილმა წარმომადგენელმა გაეროში სიუზან რაისმა, ამერიკელთა ბუნტის წამქეზებელი გამოავლინა და მას უშვერი სიტყვებით აგინა. ეს რუსეთია, რომელიც, სიუზანის თქმით, რახანია ერთმანეთს აპირისპირებს ამერიკელ ზანგებსა და თეთრკანიანებს.

„წამქეზებელი“ რუსეთის მიზანი მარტო ბუნტის მოწყობაა და მეტი არაფერი?

ყოფილ მაღალჩინოსანს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ქვეყნის საშინაო საქმეებში გარედან ჩარევა არა მარტო არეულობის გამოწვევისთვის ხდება, არამედ პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად. განა ასე არ მოქმედებს ამერიკა სხვა ქვეყნებში?!

გავიხსენოთ „ვარდების“ რევოლუცია, „არაბული გაზაფხული“, კიევის მაიდანი. რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ამერიკული ბუნტი სოციალურადაა შეფერილი, რომელსაც მოროდიორობა, მშიერთა მიერ სუპერმარკეტების ძარცვა ახლავს თან. ბუნტს პოლიტიკური ლიდერი სჭირდება, რომელიც სახელმწიფო სისტემის დაშლისკენ მოუწოდებს ხალხს. ასეთი ლენინი არსად ჩანს. არადა, რა ნოყიერი ნიადაგია შექმნილი სოციალური ბუნტის სოციალისტურში გადასაზრდელად?!

რუსულ ჩარევას უდავოდ ეყოლებოდა ლიდერი, რომელიც კრემლის ინსტრუქციებით წარმართავდა ამბოხს და რახან ასეთი არ ჩანს, აბსოლუტურად უადგილოა რაისის განცხადება რუსულ ჩარევასთან დაკავშირებით.

ამერიკული მედია, განსაკუთრებით ელექტრონული ხომ მთლად გადაირია, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა სატელეფონო საუბარი გამართა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან. „პუტინმა ურჩია ტრამპს მეამბოხეთა წინააღმდეგ მკაცრი სადამსჯელო ოპერაციის ჩატარებაო“.

არადა, ორი პრეზიდენტის საუბრის მთავარი თემა სექტემბერში „დიდი შვიდიანის“ სამიტის გამართვა იყო.

აშშ-ის დაბნეული პოლიტიკა საკუთარი შეცდომების აღიარების ნაცვლად, სხვას ადანაშაულებს. ამ შემთხვევაში რუსეთს და ჩინეთს. „რომ არა რუსეთი, აშშ-ის ქალაქების ბუნტს ადგილი არ ექნებოდაო“. ყოჩაღ რუსეთო! რა ძალა გქონია! ჯერ აშშ-ის პრეზიდენტად ტრამპი „დანიშნე“, ახლა ბუნტი მოაწყვე, მანამდე კი ისე წარმართე საქმე, რომ კორონავირუსმა წალეკა ამერიკა.

აი, რაც შეეხება ამ დაავადებას, სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ რუსეთს ჩინეთმა აჯობა. აშშ-ის პრეზიდენტის ტრამპის განცხადებით ჩინეთმა აჰკიდა კორონავირუსი ამერიკას, რამაც 100000-ზე მეტი ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა.

ტრამპმა ჩინეთი ნომერ პირველ მტრად დაასახელა და მოუწოდა თავის მოკავშირეებს ასეთად ჩათვალონ ის. როგორც ჩანს, სექტემბრის G-7 სამიტი ჩინეთის „მზაკვრულ“ პოლიტიკას მიეძღვნება. ტრამპს მოკავშირე სჭირდება, ცხადია გაცილებით ძლიერი, ვიდრე ევროკავშირელები, ამიტომაც მიიწვია მან სამიტზე პუტინი. ცდა ბედის მონახევრეა, თორემ რუსეთი რომ ჩინეთს არ გაყიდის, ტრამპისთვისაც არის ცნობილი.

ამერიკელთა ამბოხი რომ მარტო ჯორჯ ფლოიდის მოკვლით არ არის გამოწვეული მინესოტის გუბერნატორის და მინეაპოლისის მერის, აგრეთვე შავკანიანი აქტივისტის გამოსვლებიდანაც გაისმა. ისინი ფართოდ შეეხნენ იმ უფსკრულს, რომლის ამოვსება კარდინალური ძვრების გატარების გარეშე შეუძლებელია. ერთ მხარეს შეძლებული, მდიდარი თეთრები, მეორე მხარეს აშშ-მი მოსახლეობის 13-15% ფერადკანიანი – გაღატაკებული, უმუშევარი, უუფლებო ამერიკელი.

ვუსმენდი მათ გამოსვლებს და მახსენდებოდა საბჭოთა „პროპაგანდა“ – ზანგთა აუტანელი ცხოვრების ქადაგებით, ძია სემის მიერ ყელჭაჭერილი საწყალი ზანგის კარიკატურით. მარტოოდენ პროპაგანდა არ ყოფილა ის კარიკატურები, სხვა სიტყვიერი თუ წერილობითი ნათქვამ-ნაწერი.



დიახ! აშშ-ი დიდი ქვეყანაა, ძლიერი, მაგრამ არადემოკრატიული.ბოლო დროის მოვლენები მოჩვენებითი ამერიკული დემოკრატიის კლასიკური მაგალითია!

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

აშშ-ის საელჩო საქართველოში

შეერთებული შტატები არის ქვეყანა, რომელიც დიდი ხანია, იბრძვის დემოკრატიული ღირებულებების განსამტკიცებლად

აშშ-ის საელჩო საქართველოში მინესოტაში დაკავების დროს გარდაცვლილი ჯორჯ ფლოიდის და ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო დემონსტრაციების შესახებ განცხადებას ავრცელებს. უწყებაში აღნიშნავენ, რომ ამ შემაშფოთებელ ახალ ამბებს ყურადღებით აკვირდებიან.

„ჯორჯ ფლოიდის ტრაგიკული სიკვდილი არის კიდევ ერთი სულის შემძვრელი შეხსენება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მუდმივი ბრძოლისა ამ იდეალების სრულად დასაცავად. ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებები: სიტყვის, პრესისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება აქცევს ამერიკას ღია ქვეყნად, რომელიც ესწრაფვის თავისუფლებასა და სამართლიანობას ყველასათვის და უარყოფს ძალადობას, რომელიც არავის და არანაირ ღირებულ მიზანს არ ემსახურება. ჩვენ ვისწრაფვით ამ იდეალების გათავისებისკენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, რადგანაც ეს იდეალები ძლიერი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ არ შევეცდებით, დავფაროთ ჩვენი მტკივნეული ბრძოლა, რადგან გვჯერა, რომ გულწრფელი საჯარო დისკუსია დაგვეხმარება გავხდეთ უკეთესი და უფრო ძლიერი. ფუნდამენტური ღირებულებების განმტკიცება არის გზა, რომლის საშუალებითაც სრულად მივაღწევთ თანასწორობას და შევებრძოლებით დისკრიმინაციასა და უსამართლობას. ჩვენ გვამხნევებს საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, ჩვენი პარტნიორების მხრიდან გამოთქმული წუხილი და მხარდაჭერა.

შვილი ვირტუალურ სამყაროში რომ არ „გაგეპაროთ“...

ფსიქოლოგები დიდი ხანია განგაშის ზარს სცემენ: დედამიწაზე ყოველი მეოთხე მოზარდი ინტერნეტის მსოფლიო ქსელში დღეში სამ საათზე მეტს ატარებს! სკოლის მოსწავლეთა შორის ყოველი მესამე რეალურ ცხოვრებაში წარმოშობილ პრობლემებს ინტერნეტის ვირტუალურ სამყაროში „ემალება“, ახალგაზრდების 5 პროცენტს კი, სულაც, ფსიქოთერაპევტის დახმარება ესაჭიროება. მეცნიერებმა უკუკავშირიც გამოავლინეს: რაც უფრო დაბალია მოზარდის თვითშეფასება და რაც უფრო ნაკლებადაა კმაყოფილი იგი თავისი ცხოვრებით, მით უფრო ძლიერია მასში გაჯეტის ეკრანისადმი ლტოლვა.

სიცოცხლის პირველი დღეებიდან მოყოლებული

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც არა მარტო მოზარდების, არამედ ბავშვების ინტერნეტ-დამოკიდებულებასაც კი თავადვე მშობლები აყალიბებენ, რომლებიც შვილების მოსავლელად ვერ იცლიან. ამის სავალალო შედეგი კი ისაა, რომ სამი წლის ბავშვმა ლაპარაკი არ იცის, წვრილი „მოტორიკა“ განუვითარებელი აქვს, სამაგიეროდ, ვირტუალური თამაშებისგან ისეთ სიამოვნებას იღებს, რომ ოჯახის წევრებთანაც კი კონტაქტი „დაკარგული“ აქვს.

არავინ დავობს იმის თაობაზე, რომ თანამედროვე სამყაროში ძალიან ძნელია ინტერნეტის გარეშე ყოფნა. ის ყველგანაა და ბევრს ჭეშმარიტი ცხოვრების მაგივრობასაც უწევს. რისკის ჯგუფში კი უფრო ხშირად მოზარდები არიან, ისინი, ვინც რეალური ცხოვრებისთვის ჯერ სრულიად მოუმზადებელია. განსაკუთრებით ეს თინეიჯერ-აუთსაიდერებს, ანუ იმათ ეხებათ, ვისაც თანატოლები თანასწორებად არ აღიქვამენ. რა თქმა უნდა, ნოუთბუკის ეკრანს ამოფარებული მოზარდისთვის საკუთარი აზრის გამოთქმა უფრო უადვილდება. ამ დროს ის სხვის დაკნინებასაც კი ნაკლებად ერიდება.

როგორ მოვიქცეთ?

საჭიროა ინტერნეტით სარგებლობის დროის ზღვრის დაწესება და, რაც მთავარია, მისი სწორად განაწილება. აუცილებელია, რომ მოზარდს მეცადინეობისთვისაც, რეალური ურთიერთობებისთვისაც და სოციალურ ქსელებში კონტაქტებისთვისაც საკმარისი დრო ჰქონდეს. მთავარი კი ისაა, რომ **კომპიუტერი მოზარდის თავისუფალი დროის ნახევარზე ნაკლებს იკავებდეს.**

ასევე საჭიროა ციფრულ მოწყობილობებში მონაცემთა გადაცემების გაკონტროლება.

გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია შვილი ისეთი რამით დაასაქმოთ (ცხადია, საკუთარი მისწრაფება-სურვილის შესაბამისად), რომელიც **ინტერნეტთან არანაირად არ იძნება დაკავშირებული.** ეს შეიძლება იყოს სპორტის ნებისმიერი სახეობა, ცეკვის ან სიმღერის გუნდი, თეატრალური სტუდია და ა.შ. ეცადეთ ხშირად დაისვენოთ ოჯახის სრული შემადგენლობით — ეს ინტერნეტ-დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებაა.

მაგრამ ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ თქვენ უნდა გაარკვიოთ: **მაინც რას ეძებს თქვენი შვილი ვირტუალურ სამყაროში?** იქნებ ეს ისაა, რაც რეალურ სამყაროში აკლია და თუ ეს ასეა, მაშინ აუცილებლად შეეცადეთ დანაკლისის შევსებას.

„მხატვრობანას“ თამაში

კორონავირუსის საფრთხის შიშით თქვენს პაწიას გარეთ გასვლა და სეირნობა არ შეუძლია? ანდა ავადმყოფობის გამო იძულებულია სახლში იჯდეს? გინდათ ბავშვი სმარტფონს მოაცილოთ? მაშინ საღებავებით თამაში ასწავლეთ.

მუსიკალური სახეები

ადამიანის სულიერი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ამ მეთოდს ბევრი ფსიქოლოგი მიმართავს. მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ თამაშს მივყვეთ. მაშ ასე: ჩართეთ კლასიკური მუსიკა და ბავშვს სთხოვეთ ყველაფერი დახატოს, რასაც მისი მოსმენისას იგრძნობს. ეს ფანტაზიასა და სახეებით აზროვნებას განუვითარებს.

ტამპონირება

აიღეთ პოროლონის ჩვეულებრივი ღრუბელი (როგორითაც ჭურჭელს რეცხავთ) და რამდენიმე კვადრატად დაჭერით. ეს იქნება ფუნჯები. მოლბერტის მაგივრად მუყაოს ფირფიტა ან მკვრივი ქაღალდის ფურცელი გამოიყენეთ და მათზე სხვადასხვა ფერის საღებავი დადეთ.

ფრთხილად (ისე რომ, ერთშაბად ბევრი საღებავი არ აიღოთ), პოროლონის კვადრატი საღებავში ჩააწეთ და მსუბუქი შეხებით ბავშვს ხატვა დააწყებინეთ.

შეგიძლიათ ერთმანეთს ხატვის რამდენიმე ხერხი შეახამოთ. მაგალითად, ფლომასტერით დაახატინეთ კაცუნა და გზა, ღრუბლები და მზე კი პოროლონის „ფუნჯით“ გამოასახინეთ.

ფერადი ძაფები

აიღეთ 20-20 სანტიმეტრის სიგრძის ძაფები და გუაშით სხვადასხვაფრად შეღებეთ. ყველა მათგანი ფურცლის ერთ ნახევარზე დააწყეთ. მერე ფურცელი ისე მოკეცეთ, რომ ძაფების ბოლოები ჩანდეს. შემდეგ ცალი ხელი ფრთხილად დაადეთ ფურცელს, დააჭირეთ და ძაფები ცალ-ცალკე ამოიღეთ. ფურცელს რომ გადაშლით, დაინახავთ, რომ სასწაული ნახჭები გამოგივიდათ!

იმპრესიონისტების „კვალდაკვალ“

ხატვის კიდევ ერთი ორიგინალური ხერხია ჭურჭლის წყლით ავსება და მასში ქაღალდის ფურცლებზე ჩადება. შემდეგ ამოიღეთ, მაგიდაზე დააწყეთ წყალგაუმტარ ხელსახოცებზე და ხატეთ. სველ ქაღალდზე წვეთები გაიდღაბნებიან, რაღაც ჩახვეულ ნახჭებს წარმოშობენ, ნახატები კი რაღაცით... იმპრესიონისტების ტილოებს დაემსგავსებიან.

ნარევი

ქაღალდის ფურცელი ორად მოკეცეთ. შემდეგ გაშალეთ და ნებისმიერი თანმიმდევრობით ზედ დაადეთ გუაშის ლაქები. ხატეთ ისე სწრაფად, რომ საღებავმა გაშრობა ვერ მოასწრონ, შემდეგ კი ქაღალდი ისევ ორად მოკეცეთ. მერე ფურცელს ხელი გადაუსვით, საღებავს შერევის საშუალება მიეცით და ფურცელი ისევ გაშალეთ. შედეგად გასაოცარ ფიგურებს მიიღებთ, რომლებიც ხან პეპლებს, ხან რაღაც ზღაპრულ ცხოველებს ჰგვანან.

მელირება

ამ ტექნიკის დაუფლებას ყველაზე პატარა მხატვრებიც შეძლებენ. უფროსმა ქაღალდის ფურცელზე ცარცი ან ფანქრის გული უნდა დაფშვნას, შემდეგ მხატვარმა ხელში ბამბის ტამპონი უნდა აიღოს და ნამცეცები ქაღალდში ჩაზილოს. არაჩვეულებრივი სილამაზის ფერები ერთმანეთში ისე მომხიბლავად გადავა, რომ თვალს ვერ მოწყვეტთ!..

კიდევ კარგი, რომ ზოგჯერ არ გიჯერებთ!

ანუ როგორი უნდა იყოს საოცნებო ყოფაქცევის ბავშვი?

უკლებლივ ყველა მშობლის ოცნებაა ისეთი შვილი ჰყავდეს, რომელიც არ ჭირვეულობს, თავის დროზე იძინებს, რასაც უმზადებენ ჭამს და გაკვეთილებსაც თავისით ამზადებს. ბევრ მშობელს გული ცუდად უხდება იმის მოსმენისას, თუ როგორი დამჯერია, ვთქვათ, ახლობლის შვილი და მერე საკუთარ „უწესოს“ ადარებს... მაგრამ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ უფროსების ნებას სრულად დამორჩილება კარგი ნიშანი არ არის, რადგან ეს გარემოება გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემათა არსებობას მოწმობს. თანაც „ყველაფერში დამჯერის“ ცხოვრებისეული პოზიცია პატარასთვის კარგის მომტანი არ არის.

დედ-მამა, რომელიც ცდილობს პირმშო მუდამ დამჯერი იყოს, ამით მას მუდმივი ხელმძღვანელობის ქვეშ ყოფნას აჩვევს. ამიტომაც შემდეგ ასეთი ბავშვები ცხოვრების დინებას მიჰყვებიან და ინიციატივას ნაკლებად იჩენენ. ამდენად, ეს ასე რომ არ მოხდეს, მიაჩვიეთ იგი რაღაც-რაღაცები თავისით გადაწყვიტოს. ვთქვათ, რა ფერისა უნდა იყოს შარვალი თუ კაბა, ფეხსაცმელი, რა ხილი ურჩევნია. მორჩილ ბავშვებს საკუთარი თავის ნაკლები რწმენა აქვთ, არ იციან თავიანთი შესაძლებლობები, ხასიათის ძლიერი მხარეები, თავს სხვებზე დაბლა აყენებენ.

ზედმეტად დამჯერ ბავშვთა მშობლებს შემჩნეული ექნებათ, რომ სხვებთან შედარებით, მათი შვილები უფრო ხშირად ავადმყოფობენ, რასაც თავისი ახსნა აქვს. დამჯერებლობა მათ ემოციების ამოფრქვევის საშუალებას არ აძლევს, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათ მძაფრი განცდები არა აქვთ. ეს დამალული გრძნობები კი „შიგნით დუღდება“ და, გარკვეულ დროს, ავადმყოფობებად გარდაიქმნებიან.

მშობლებს იმასაც ვურჩევთ, დაფიქრდნენ, თუ რატომაა მათთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ შვილი უსიტყვოდ ემორჩილებოდეს? მისი გაკონტროლება და მუდამ სასურველი შედეგის მიღება სურთ თუ არ ენდობიან?

გახსოვდეთ: როცა ბავშვი მშობელს ზოგჯერ არ უჯერებს — ეს სავსებით ნორმალურია. დაუჯერებელობა — ესაა ზრდის თანმდევი ნაწილი, ბავშვს საკუთარი ფეხწამოკვრიდან დასკვნა გამოაქვს, გარკვეულ გამოცდილებას იძენს და სამყაროს შეიცნობს. ამბოხი და პროტესტი — ბუნებრივი ფსიქოლოგიური პროცესებია, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათრგუნოთ, ანდა, სულაც, ჩაახშოთ. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ქმედების ძალა უკუქმედების ძალის ტოლია.

ამდენად, თუკი ბავშვში ბუნებრივი პროცესების დახშობის გზით წახვალთ, ეს შეაძლოა შენელებული მოქმედების ნაღმის საფრთხის ტოლფასი გამოდგეს. მერე კი რა ხასიათი შეიძლება მიიღოს ამ ამბოხმა, კაცმა არ იცის, ამის აუარება მაგალითი არსებობს.

კარანტინმა... არგო

ჩინეთში 5 წლის ბიჭმა კარანტინის დროს წონაში მოიტანა და სასკოლო ფორმის შეკვრა გაუჭირდა. გამოცემის ინფორმაციით, ჩინეთში სკოლის მოსწავლეებმა კორონავირუსის გამო კარანტინში 4 თვე გაატარეს და ამ დროის განმავლობაში ბევრ მათგანს ტანსაცმლის ზომა შეეცვალა. ერთი ბიჭი ადგილობრივი სოცქსელების გმირი გახდა, მას შემდეგ რაც Weibo-ზე (Twitter-ის ჩინური ანალოგი) აიტვირთა ვიდეო, რომელზეც ის სასკოლო ფორმის ჩაცმას ცდილობს.

პერანგის შეკვრაში მას ბებია ეხმარება. ბიჭის რეაქციამ სოციალურ ქსელებში აღფრთოვანება გამოიწვია. ბევრმა კი დაწერა, რომ მსგავს პრობლემასთან კარანტინის გამო გამკლავება ბევრს მოუწია.

კორონავირუსის წამალი... მადაგასკარულად

მადაგასკარის **განათლების მინისტრს თანამდებობის დატოვება მას შემდეგ მოუხდა, რაც გადაწყვიტა, მოსწავლეებისთვის 42 მილიონის ღირებულების ჩუპა-ჩუპსები შეიძინა. რიჯასოა ანდრიამანანამ იქამდე განაცხადა, რომ თითო მოსწავლისთვის 3 ჩუპაჩუპსი უნდა დაერიგებინათ, რადგან კორონავირუსის „წამალი“, რომელსაც კუნძულის მცხოვრებლებს ურიგებენ, მწარეა. ამიტომ, მინისტრმა საჭიროდ ჩათვალა, ეს გემო ტკბილეულით დაებალანსებინათ.**

ახალი კორონავირუსის პანდემიის დროს მადაგასკარმა არაერთხელ მიიპყრო მსოფლიო მედიის ყურადღება: ქვეყნის პრეზიდენტის მტკიცებით, ქვეყანაში კორონავირუსის წამალი გამოიგონეს, თუმცა მსოფლიო მას სკეპტიკურად მოეკიდა. ენდრი რაჟოელინას თქმით, მსგავსი ხსნარის გამოშვება ევროპულ ქვეყანას რომ დაეწყო, მის მიმართ ასეთ სკეპტიციზმს არ გამოიჩენდნენ. მადაგასკარის ლიდერის განმარტებით, წამალი პაციენტს 10 დღეში კურნავს. ტონიკი სახელწოდებით Covid-Organics არტემიზისგან მზადდება. ეს მცენარე შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც მალარიის მკურნალობისას გამოიყენება. მადაგასკარზე პრეპარატი 20-ზე ნაკლებ ადამიანზე 3 კვირის განმავლობაში გამოსცადეს. როგორც ქვეყნის პრეზიდენტი აცხადებს, ორი ადამიანი ვირუსისგან განიკურნა.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, მადაგასკარზე კორონავირუსის 1 000-მდე შემთხვევაა დადასტურებული, 7 ადამიანი კი გარდაიცვალა, თუმცა მონაცემები ქვეყნის ჯანდაცვის სუსტი სისტემის გამო, ეჭვს იწვევს და ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში ვირუსის სათანადოდ გამოკვლევა და შემთხვევათა აღწერა ვერ ხერხდება.

◎ ელიტაში

უკრაინამაც დაუფასა

უკრაინულმა „ფუტბალ.უა“-მ იმ ცნობილ ვარსკვლავთა სია შეადგინა, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშეს, ამ ელიტურ ნუსხაში კი საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი და „მილანის“ ყოფილი ვიცე-კაპიტანი **კახა კალაძე** დაასახელა.

„სიაში მხოლოდ ის მოთამაშეები მოხვდნენ, რომლებმაც კარიერა ისე დაასრულეს, რომ პლანეტის მთავარ საფეხბურთო ტურნირზე ვერ ითამაშეს, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებად სამართლიანად მიიჩნევიან“, — წერს გამოცემა.

მეკარეები: ნევილ საუთჰოლი, ალენ გუამენე, იუსი იასკელაინენი.

მცველები: ავი კოენი, როჯერ მენდი, სემი ჰიუპია, ჰასან სალიჰამიჯიჩი, კახა კალაძე, იონ არნე რიისე.

ნახევარმცველები: ჯორჯ ბესტი, აბედი პელე, იარი ლიტმანენი, რაიან გიგზი. პატრიკ ბერგერი, ვლადიმირ შმიცერი, ხუან არანგო, სეიდუ კეიტა, ალექსანდრ გლები.

თავდამსხმელები: ალფრედო დი სტეფანო, იან რაში, ჯორჯ ვეა, ეიდურ გუდიონსენი, დიმიტარ ბერბატოვი.

„კახა კალაძემ საქართველოს ეროვნულ გუნდში 83 მატჩი გაატარა, რაც „ჯვაროსნებში“ მეოთხე მაჩვენებელია. „როსონერის“ შემადგენლობაში მან ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ერთხელ — სერია „ა“, ისევე როგორც მრავალი სხვა ტიტული. კიევის „დინამოსთან“ ერთად კალაძე სამჯერ გახდა უკრაინის ჩემპიონატის გამარჯვებული და თასის მფლობელი, ხოლო თბილისის „დინამოსთან“ ერთად 4-4-ჯერ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი და ყიფიანის თასი. გარდა ამისა, საქართველოს ნარების ექს-კაპიტანი წლის საუკეთესო ფეხბურთელად ოთხჯერ აღიარეს“, — წერს „ფუტბოლ.უა“.

ბეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ლისაბონი უმასპინძლებს

უეფამ გადაწყვეტილება მიიღო ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ფინალური მინი-ტურნირის მასპინძელი ქალაქის შესახებ, — იუწყება გერმანული გაზეთი „ბილდი“.

გამოცემის ცნობით, ყველაზე პრესტიჟული ევროპული თასისთვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი ლისაბონში ჩატარდება. პორტუგალიის დედაქალაქის მთავარი კონკურენტი გერმანული ფრანკფურტი იყო.

„ლისაბონის სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა. ჯერ ერთი, პორტუგალიის ყველა კლუბი შეჯიბრებას უკვე გამოეთიშა და გუნდები თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ასევე, ქალაქი უფრო მეტად შეესაბამება უეფას მოთხოვნებს, რადგან პორტუგალიის დედაქალაქში ამჟამად კორონავირუსის დაავადება არ არის“, — წერს „ბილდი“.

აღსანიშნავია, რომ, თურმე, განიხილებოდა მოსკოვის კანდიდატურაც: **„რუსეთის ვარიანტი დანარჩენზე სწრაფად გამოირიცხა, რადგან უეფას ხელმძღვანელობამ ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარება მატჩების გასამართავად შეუფერებლად მიიჩნია“.**

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეოთხედფინალიდან ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის ორშეხვედრიანი დაპირისპირებები გაუქმდებოდა, ხოლო გუნდები გამარჯვებულს ერთი შეხვედრით გამოავლენდნენ.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

იქნებ, უკეთესიცაა...

პირველი არხის გადაცემა „ტაიმაუტი“ „ინდიანა პეისერზის“ ცენტრ გოგა ბითაძეს შეერთებულ შტატებში დაუკავშირდა. ამერიკაში მოასპარზე ქართველმა ლეგიონერმა პანდემიის პირობებში NBA-ს სეზონის განახლებაზე და საკუთარ გეგმებზე ისაუბრა.

გოგა ბითაძე: „უმოქმედო პერიოდის გადატანა ჩემთვის ძალიან რთული იყო, რადგან, როცა შუა სეზონში ხარ და ეჩვევი ბევრ თამაშს, ბევრ ვარჯიშს, ბევრ ფრენებს, ძალიან რთულია გადაწყობა. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, რომ NBA აღარ გაგრძელდებოდა იმიტომ, რომ სიტუაცია მწვავდებოდა, მაგრამ ახლა გადაწყდა, რომ სეზონი განახლდეს. ერთი თვეა, რაც ვარჯიშები დავიწყე და დარბაზში გვიშვებენ. ინდივიდუალურად ვემზადებით და ჯერ გუნდური ვარჯიშის საშუალება ისევ არ გვაქვს.

გუნდისთვის ლიგის მიერ შემოთავაზებული ფორმატი, ვფიქრობ, რომ მისაღები იქნება. ფლეი-ოფის ზონაში ვართ და მომდევნო რვა თამაში დაგვეხმარება, რომ კონდიციებში შევიდეთ და ფლეი-ოფისთვის მზად ვიყოთ. სეზონის განახლების შემდეგ, დიდი შეზღუდვები იქნება, რადგან მაყურებლებს არ მიეცემათ უფლება, რომ თამაშებს დაესწრონ და ჩვენც გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინება მოგვიწევს.

„გუნდში ჩემს მდგომარეობაზე საუბარი რთულია, რადგან არავინ იცის, მწვრთნელს რა აქვს გადაწყვეტილი, მე როგორ კონდიციებში დავბრუნდები, ჩემი გუნდელები როგორ მზადყოფნაში იქნებიან, მწვრთნელი რას გადაწყვეტს. წუთების გაზრდაზე ლაპარაკიც ძალიან რთულია. ვფიქრობ, რომ გუნდში იგივე როლი მექნება, რაც ადრე, მაგრამ თუ მეტჯერ მომიწევს თამაში, რა თქმა უნდა, გავალ პარკეტზე და 100 პროცენტს გავიღებ ყველა თამაშში“.

ქართველი კალათბურთელი ამერიკაში რასიზმის წინააღმდეგ დაწყებულ საპროტესტო აქციებსაც გამოეხმაურა:

„რაც შეეხება ჯორჯ ფლოიდის მკვლელობას, ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რომ პოლიციამ ადამიანი ასე უმოწყალოდ მოკლა. ინდიანაში, რა თქმა უნდა იყო პროტესტი, იყო აქცია, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ჯერ თავო და თავო...

ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელი პატრიკ შიკი ერთი ხანობა „სამპდორიაში“ ხმაურით გამოჩნდა და „იუვენტუსში“ ტრანსფერიც პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, თუმცა, იგი სამედიცინო შემოწმებაზე ჩავარდა და გენუაში დაბრუნება მოუწია, ზაფხულში კი „რომას“ მიაშურა იმ იმედით, რომ დედაქალაქში თავს დაიმკვიდრებდა. მან ეს ვერ შეძლო და „მგლებმა“ „ლაიფციგში“ გაანათხოვრეს, სადაც ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ, გამოისყიდონ თუ არა ტანმაღალი ფორვარდი იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს შედეგიანად ათამაშდა.

პატრიკი თუ საფეხბურთო მინდორზე ცდილობს დამკვიდრებას და სახელის მოხვეჭას, მისი ულამაზესი და კრისტინა სოციალურ ქსელს იპყრობს. ახლახან მას პირველი შვილი შეეძინა, თუმცა, ფიგურა უმალვე აღიდგინა და ამის დემონსტრირებას „ინსტაგრამში“ თამამად ახდენს. „მიყვარს ჩემი სხეული და ჩემს სხეულს ვუყვარვარ“, — დაწერა ერთ-ერთ ბოლო პოსტში კრისტინამ და დიდი ეჭვი გვაქვს, მისი სხეული მარტო თავად არ უყვარს და ბევრს ეყვარება...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი

სკეპტიკური ინგლისელი

ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ბილ სვინი ექვს ერში საქართველოს გაწევრიანებას სკეპტიკურად უყურებს.

„ექვს ერში პრობლემა არსებობს და თუ იტალიას დავაქვეითებთ, რა მოხდება? ჩვენ არ გვაქვს ისეთი სიტუაცია, როგორც ფეხბურთში, სადაც მეორე დონის ქვეყნები უმტკივნეულოდ ახერხებენ დაწინაურებას. ჩვენ ევროპაში ასეთი მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. მსოფლიო რაგბისთვის უფრო გრძელვადიანი გამოწვევა არსებობს, რომ შეიქმნას უფრო მდგრადი და ძლიერი ინვესტიცია მეორე დონის ქვეყნებისთვის.



თუ ექვს ერში იტალიას საქართველოთი ჩავანაცვლებთ, არ მგონია, რომ პრობლემა გადაიჭრება. გლობალური კალენდრის იდეა არის ის, რაც საშუალებას მისცემს მეორე დონის ქვეყნებს განვითარდნენ და პროგრესი განიცადონ“, — თქვა სვინიმ.

კოგა კოგახიძე

◎ ჩოგბურთი

უტიტულო რჩეულნი

ტელეკომპანია ESPN-მა გამოაქვეყნა საუკეთესო ჩოგბურთელთა ოქტეტები, რომლებსაც არასოდეს მოუგიათ „დიდი სლემის“ ტურნირი.

მამაკაცთა სიაში მოხვდნენ: არგენტინელი გილერმო კორია (როლან გაროსის ფინალი — 2004), რუსი ნიკოლაი დავიდენკო (ნახევარფინალები როლან გაროსზე — 2005, 2007 და აშშ-ის ღიაზე — 2006, 2007), ესპანელი დავიდ ფერერი (როლან გაროსის ფინალი — 2013), ამერიკელი ტოდ მარტინი (აშშ-ის ღიას ფინალი — 1999 და ავსტრალიის ღიას ფინალი — 1994), ჩეხოსლოვაკიელი მიროსლავ მეჩირჟი (ავსტრალიის ღიას ფინალი — 1989 და აშშ-ის ღიას ფინალი — 1986), არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი (უიმბლდონის ფინალი — 2002), ჩილელი მარსელო რიოსი (ავსტრალიის ღიას ფინალი — 1998) და შვედი რობინ სიოდერლინგი (როლან გაროსის ფინალი — 2009 და 2010).

ქალთა შორის ანალოგიური რვეული შეადგინეს: ამერიკელმა როზი კაზალსმა (აშშ-ის ღიას ფინალი — 1970 და 1971), ამერიკელმა მერი ჯო ფერნანდესმა (ავსტრალიის ღიას ფინალი — 1990, 1992 და როლან გაროსის ფინალი — 1993), ამერიკელმა ზინა ჰარისონმა (უიმბლდონის ფინალი — 1990), სერბმა ელენა იანკოვიჩმა (აშშ-ის ღიას ფინალი — 2008), პოლონელმა აგნეშკა რადვანსკამ (უიმბლდონის ფინალი — 2012), ჩეხოსლოვაკიელმა ჰელენა სუკოვამ (აშშ-ის ღიას ფინალი — 1985, 1993 და ავსტრალიის ღიას ფინალი — 1984, 1989), რუსმა ელენა დემენტიევამ (როლან გაროსის ფინალი — 2004 და აშშ-ის ღიას ფინალი — 2004) და რუსმა დინარა საფინამ (როლან გაროსის ფინალი — 2008, 2009 და ავსტრალიის ღიას ფინალი — 2009).

მანუჩარ გიორგაძე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში ცნობილ ფეხბურთელ ძმებს ვარლამ და გია კილასონიებს

დედის

გარდაცვალების გამო.

მარად მოსაგონარი

ნელი გურგენიძე

ყველგან და ყველასთვის სასურველი ადამიანი...

მიილია 40 დღე, რაც ჩვენს შორის აღარ არის ქვეყნის დიდი მოჭირნახულე, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ქალბატონი **ნელი გურგენიძე**. ეამაყებოდა ღვთისგან რჩეული — გამორჩეული და ამავდროულად საუკუნეთა ქარტეხილში ტანჯულად შერაცხილი ერის შვილობა, მაგრამ მწვავედ განიცდიდა ამ ტანჯვით გადარჩენილ ეროვნულ ფასეულობათა დაკნინებას, უძველესი მიწაწყლის უბოდიშოდ მიტაცებას. მიუხედავად ამისა, მისი მეგობრები განებივრებული ვიყავით მისგან საიმედო სიტყვის მოსმენით — ღმერთი არ გაგვწირავსო!

ქალბატონი ნელი მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება გახლდათ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის სფეროში მოღვაწეთა შორის. დაიბადა და გაიზარდა ცნობილი პედაგოგისა და პოლიგლოტის თამარ ხაზარაძისა და მეტყევე-ინჟინრის ვლადიმერ გურგენიძის მრავალშვილიან ოჯახში, რომელმაც ქვეყანას 7 ღირსეული მოქალაქე, სხვადასხვა სფეროს წარმატებული სპეციალისტი შესძინა.

ქალბატონმა ნელიმ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო — რომანტიკული აღტაცებით სავსე და არცთუ იშვიათად იმედგაცრუებითა და დიდი ტკივილით დაღდასმული, მაგრამ ეს ყველაფერი ვერ ანელებდა მასში მაღალი ეროვნული იდეალებით ცხოვრებისა და შემოქმედების სურვილს.

თავდაპირველად თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ გურჯაანში ოჯახის გადასვლის გამო, სწავლა ამ რაიონში გააგრძელა.

სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები დედაუნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

გამორჩეული სტუდენტი იყო — სახელობითი სტიპენდიანტი, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში.

უნივერსიტეტის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ თავის მომავალს მეცნიერების სამსახურში ხედავდა, მაგრამ მისი სპეციალობით ასპირანტურაში მიღება არ შედგა.

ქალბატონ ნელის ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, გურჯაანის სკოლაში მათემატიკის მასწავლებლობა შესთავაზეს. მაშინდელი განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე, თავად ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, მასთან გასაუბრებით აღფრთოვანებული დარჩა და უყოყმანოდ დაეთანხმა დამწყები ფილოსოფოსის (თანაც ქართულენოვანის) დანიშვნას რუსულ სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

აქაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქალბატონ ნელის მუყაითი შრომა, მოსწავლეებთან ურთიერთობის უნიკალური თვისებები და სასწავლო წლის დამთავრებამდე აირჩიეს გურჯაანის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად. შემდეგ იყო საკ. ალკკ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის რთულ შრომატევად, მაგრამ რომანტიკულ სფეროს. სწორედ მისი მუშაობის პერიოდში დაინერგა პრაქტიკაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა: ფესტივალები, ოლიმპიადები, ახალგაზრდა შემოქმედთა საზამთრო და საზაფხულო სკოლები და სხვა.

ქალბატონ ნელის მრავალმხრივი განათლება, მდიდარი გამოცდილება, მაღალი პასუხისმგებლობა და ორგანიზატორული ნიჭი მთელი სისრულით გამოვლინდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასწავლო დაწესებულებებისა და მეცნიერების განყოფილების გამგის მოადგილის, თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივნის, შემდგომ კი, თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში. მისი ყოველი მოხსენება, სიტყვით გამოსვლა გამოირჩეოდა აკადემიურობით; ღრმად წვდებოდა მოვლენათა არსს და ათვითცნობიერებდა თანამოაზრეთა ადგილსა და დანიშნულებას ამ მოვლენების წარმართვაში ქვეყნის ეროვნული ინტერესების სასიკეთოდ.

რაიკომის ერთ-ერთი პლენუმის შემდეგ მორის ფოცხიშვილმა ქალბატონ ნელის ექსპრომტად ლექსი უძღვნა: **„დაილოცოს ნიჭის მადლი, მე რომ მძონდეს როსმე ნება, ცხრა ენაზე დავსტამბავდი თქვენს დიდებულ მოხსენებას“**... და რამდენი ასეთი გამოხმაურება და შეფასებები...

პარტიულ მუშაობას ნაყოფიერად უთავსებდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს (რომლის სამი მოწვევის დეპუტატი იყო) თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შესრულებას. იგი იმ ისტორიული სხდომის წამყვანი გახლდათ, სადაც ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების საკითხი გადაწყდა.

ქალბატონი ნელი არაერთი მნიშვნელოვანი საქმის წამოწყების ინიციატორი და უშუალო ხელმძღვანელი იყო საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, განათლების მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერიოდში.

იგი აქტიურად იყო ჩაბმული საქველმოქმედო ფონდის „დემოკრატია და აღორძინება“ და საერთაშორისო ასოციაციის „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ საქმიანობაში. გულითადად იზიარებდა შეჭირვებულთა სატკივარსა თუ მარცხს და ყოველმხრივ ცდილობდა, აღმოეჩინა მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერა.

ნაყოფიერი იყო ქალბატონ ნელის მონაწილეობა საქართველოს ქალთა საბჭოს მუშაობაში ჯერ საბჭოს, შემდგომ მისი აღმასრულებელი ორგანოს წევრად ყოფნის დროს: თავგამოდებით იბრძოდა ქალთა უფლებების დაცვისთვის — მათი შრომითი მოწყობის, ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში აქტიურად ჩართვის მიმართულებით, რისთვისაც მთელი პრინციპულობით ითხოვდა შესაბამისი ორგანოებიდან ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

საგანგებოდ აღსანიშნავია ქალბატონ ნელის ცხოვრების თანდაყოლილი თვისება უანგარო მეგობრობის შესახებ. ამ მხრივ სანიმუშოდ მიგვაჩნია მისი და კახეთის ჟანა დ'არკად შერაცხილი (საფრანგეთის ბურგუნდიის მხარის მიერ) მედეა მეზვრიშვილის ურთიერთობა: ტკივილისა თუ სიხარულის, აღმატებისა თუ დაცემის, გამარჯვებისა თუ მარცხის გაზიარება, თანადგომა და თანაბრძოლა მათი გადალახვისთვის ამ ორი ქალბატონის ცხოვრებისა და შემოქმედების კრედო იყო, ამიტომაც ღირსეულად გაუმკლავდნენ წინააღმდეგობებით სავსე წუთისოფლის ულმობელ შემოტევებს და ბევრი კეთილი საქმით დააგვირგვინეს თავიანთი ცხოვრება.

რაოდენ დასანანია, რომ მათ არ ერგოთ პირადი ქალური ბედნიერება და ვერ დატოვეს მათსავით ღირსეული შთამომავლები.

2003 წელს აშშ-ის ბიოგრაფიის ინსტიტუტი ქალბატონ ნელის „2003 წლის ქალის“ წოდებას ანიჭებს და აღნიშნავს, რომ **„მან საუკეთესოდ განახორციელა თავისი მისია და ემსახურა სამაგალითო მიზნებს“**.

გამორჩეული იყო ქალბატონ ნელის როლი საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის საქმიანობაში. იგი დღიდან ამ ასოციაციის დაარსებისა, მისი გამგეობის აქტიური წევრი იყო. მას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული მშობლიური ლიტერატურის როლი ქართველთა იდენტურობის, ხასიათის, სულის, მსოფლხედვის, მსოფლგანცდის მარადიულ ღირებულებათა გამოხატვის საქმეში და ამასვე ცდილობდა, ეზიარებინა თავისი თანამზრახველები. ასოციაცია (ხელმძღვანელი ლ. ნადარეიშვილი) ამ მიმართებით მუშაობის ნამდვილი ოაზისია. მათი თანადგომით ქალბატონმა ნელიმ შექმნა „საინტერესო შეხვედრების კლუბი“, სადაც თავი მოუყარა სხვადასხვა პროფესიის ღვაწლმოსილ ადამიანებს.

კლუბის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს: ახალი წიგნების წარდგენა ავტორთა მონაწილეობით, შეხვედრები და საუბრები ცნობილ ადამიანებთან — ეკონომიკის, კულტურის, სამართლისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, შემეცნებითი ხასიათის გარდა, კლუბის წევრთა დაახლოების, აზრთა გაცვლის ადამიანური ურთიერთობის დატვირთვაც აქვს, რაც ასე მნიშვნელოვანია დღეს ადამიანთა გაუცხოების, ეროვნული სულისა და ენერგეტიკის ტრაგიკული ხვედრის, საყოველთაო ნიჰილიზმის პირობებში.

ქალბატონ ნელის ღვაწლი მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა, მაგრამ მას უფრო ეამაყებოდა ის, რომ ყველგან და ყველასთვის სასურველი ადამიანი, მრავალთა იმედის მიმცემი და დამფასებელი იყო.

ძალზე მძიმე აღმოჩნდა ქალბატონ ნელისთვის ცხოვრების მიმწუხრის ჟამი. ამქვეყნიურ ვარამთან ერთად განგებამ უკურნებელი ტკივილებიც არგუნა წილად. მიუხედავად ამისა, ჩვეული შემართებით იბრძოდა, რათა ბოლომდე გამოეყენებინა ყველა რესურსი ნაცნობ-მეგობართა სანუგეშოდ. ასე ამ ბრძოლაში თანდათან იფერფლებოდა.

ჩვენო ძვირფასო ნელი! გულისტკივილით გთხოვთ პატიებას, რომ ვერ მოგაგეთ სადაგი პატივი ქვეყანაში არსებული ავბედითი მდგომარეობის გამო, მაგრამ გჯეროდეს ამ დღეს (6 მაისს) ყველა შენს ნაცნობ-მეგობართა ოჯახში ენთო წმინდა სანთელი და თითოეული მათგანი ცრემლნარევი ლოცვით გიწყობდა გაცილებას ამ წუთისოფლიდან მარადისობისკენ.

„დიდია ძალბატონ ნელის დამსახურება ქვეყნის წინაშე. მან მთელი ცხოვრება საზოგადოებრივ საქმიანობას მიუძღვნა და ბოლომდე არ უღალატია მისთვის.

აღვავლენთ ლოცვას ძალბატონ ნელის უკვდავი სულისათვის“...

მთელი არსებით ვუერთდებით უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ამ ლოცვას და ჩვენო ნელი, — აწ უკვე მარადისობის ბინადარო! — მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, რომელიც ასე გიყვარდა და ელოლიავებოდი.

საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია,
მეგობრები.

2020 წლის ივნისი.

დალი, ბადრი, თემურ, გიორგი ბარკალაიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ოჯახის ძვირფასი მეგობარი, აფხაზეთის ომის მონაწილე, 23-ე ბატალიონის უფროსის მოადგილე, მაიორი

ალეკო დავითის ძე ფულარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 8 VI, 17 სთ. გამოსვენება 9 VI, 14 სთ. მისამართი: წყნეთი, ნიკოლოზ ბარათაშვილის 10 (ეკლესიასთან).

დაკრძალვა: საბურთალოს სასაფლაოზე.

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად.

ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.

ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge
ელ.ფოსტა: info@geomedi.edu.ge
ტელ.: 2 75 25 20

ს/ს ელექტრონიკა 94-ი/ ატარებს, აქციონერთა საერთო კრებას. ა/წ. 2 ივლისს დღის 4 სთ.

მისამართი, კ გამსახურდიას 14. დღის წესრიგი. 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სამეურნეო ანგარიში. მომხსენებელი : მთ. ბულალტერი. გ ჩიქოვანი

...ნამდვილად გერმანული კომპანიის წარმოებულია

გერმანულმა კომპანია „ლოვამ“ ოფიციალური წერილით დაადასტურა, რომ თავდაცვის ძალებისთვის შეძენილი ფეხსაცმელი ნამდვილად მათ მიერაა წარმოებული. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ხაინდრავამ უწყებაში სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მან მოუწოდა მედიას, რომ მაქსიმალურად გადაამოწმონ თავდაცვის ძალებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და ნუ შეეცდებიან, უარყოფითად წარმოაჩინონ ყველა ის სიკეთე, რაც ჯარისთვის კეთდება.

შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებით, თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები თვის ბოლომდე სრულად იქნებიან უზრუნველყოფილი „ლოვას“ ბრენდის, „ბატინკებით“. გიორგი ხაინდრავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესყიდული ფეხსაცმლის ფასი მნიშვნელოვნად დაბალია მათ საბაზრო ღირებულებაზე, რაც განპირობებულია თავდაცვის სამინისტროს წარმატებული მოლაპარაკებებით. მან მედიის წარმომადგენლებს ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციაც წარუდგინა. მასტერ-სერჟანტმა გიორგი კილასონიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი ხარისხის ფეხსაცმელი თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს ჯერ არ ჰქონიათ და არც ერთ სამხედროს ახალი ფეხსაცმლის ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ინგა გადადირექტორდა...

— კარგი სახელის ნაცვლად კარგა გვარიანად ფულ-წონამოხვეჭილმა ინგულია გრიგოლიამ, როგორც კი სხვათა გასაბახებლად გახსნილი პანდორას ყუთიდან ამოფრქვეული ცოდვანი თავადვე შეეფრქვა, სოციალურ ქსელებში ეგრევე საქვეყნოდ განაცხადა, ოჯახის სიწმინდე რომ შემენარჩუნებინა, ავდექი და „პირველების“ დირექტორობიდან გადავდექიო. ისე, უფრო სწორი იქნებოდა, თუ დაწერდა, რომ ფეხი მაქვს მოტეხილი და ახლა კისერსაც ხომ არ წავიმტვრევდიო.

ყოჩაღ, ინგულია! შენ რომ არ იტყვი, არ დაწერ და არ იზამ, ისეთი არცრაა ამ ქვეყანაზე! მართლაც, კარგია, რომ დროზე გადადირექტორდი!

სათრეველები ნაცების ბაძი-ბუძზე

ბასტა, ჭორების დასტას!

ჭორი კვლავ „ახალია“ და
სავსეა შავი პიარით,
ხან „მოხსნეს“ გახარია და
ხან თეა წულუკიანი,
ვეღარ აუდის ქვეყანა
ჭორიკანათა ბრიგადებს;
ეს რა ჭირს გადავეყარეთ,
ვირი ვირს ჰგავს და ვირს ბადებს!

„ევროპული“ შაში-ბეში

იყო და არა იყო რა: პარლამენტს შიგან ნაცები,
მითი „იპრიტით“, ბოქლომით ჟამი ზნეობის დაცემის,
სული აღმოხდა ქვეყანას ნაკაცარ-ნადიაცებით.
დააბიჯებდნენ, თუთაბერ ყვარყვარეს რომ აქვს, იმ მხრებით,
კოხტაპრუწობდნენ; ჭორებით დააფეხმძიმეს „იხვები“,
როცა მონაგარს ითვლიდა მათი ჩოთქი და ნიხრები.
ვინც დაგვარბია, დაგვამცრო, ქვეყანა ვინც აამტუტა,
დღეს კიევში ზის, იქიდან მოუხმობს ტიტე ნატუტარს,
რადგან რუსთველის სამშობლო კვლავ მონად უნდა, ყმად უნდა.
იყო და არა იყო რა... „ იხვებზე“ ნაცთა მიყოლამ
სიცრუითა და ჭორებით გუდა რომ ამოიყორა,
ძლივს მიხვდნენ, მათი კამათი ამჯერად ამო იყო რად!
ჰოდა, შემოკრბნენ ნაცები, იმ უბნისა თუ ამ უბნის
პრემიერობის ოცნებით, სპიკერის სკამზე საუბრით
და ბოკერიას თვალები შაში-ბეშივით გაურბის!

მოლოდინი

ამბავი არახალია.
ნაცი მუდამ „ნახალია“,
პარლამენტს ხრავს, რა ხანია!
მაგრამ რაკი ამ თავხედ მღრნელს
ორჯერ შეხვდა გახარია,
მესამედაც თუ შეხვდება,
ნაღდად არგასახარია!

დენდროპარკი



ფიქრი, რომელიც დაგადა ჩემი მეგობრის, ცნობილი ფოტოხელოვნის გადრი ვადაჯკორიას კადრებმა დენდროპარკიდან

ტანაშოლტილ ხეებთან,
ეშხით მოსახვევლებთან,
კეკლუცობენ შველები,
დენდროპარკის მშვენებით.
ჰოდა, გნედა მოელის,
არეული ლოგიკით,
ვინც აგინა ზოგივით
პარკი დენდროლოგიის!

ალექსანდრე შენგელია

ქართული მუზეუმების საგანძური



საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) თანამშრომლობის შედეგად, ვანის, დმანისის და სიღნაღის მუზეუმის ექსპონატების ხილვა გაფართოებულ რეალობაში იქნება შესაძლებელი. ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტა AR და 3D ფორმატში, პლანშეტებში ინტეგრირდება და მუზეუმის ვიზიტორებისთვის უნიკალურ გამოცდილებას ქმნის. გაციფრებულ ნიმუშებს შორისაა ძვ. წ. III-II საუკუნეებით დათარიღებული ვანში აღმოჩენილი უნიკალური ბრინჯაოს ჭრაქები და სასაკმევლე, რომლებიც ვანის ახალ მუზეუმში გამოიფინება.

ტექნოლოგიური პლატფორმა შეიქმნა ასევე სიღნაღის მუზეუმში გამოფენილი ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრისთვის „რთველი“, სადაც ციფრული გიდი, გაფართოებულ რეალობაში მოუთხრობს დამთვალიერებელს ვაზის კრეფის, წურვის და ლხინის კულტურის შესახებ. დმანისში აღმოჩენილი უძველესი ჰომინიდების — მზიას და ზეზვას 3D ანიმაციას დაემატება გრძელ დისტანციაზე მორბენალი მტაცებლის, დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხმალკბილა ვეფხვის გრაფიკა, რომლის ანიმაციაც ინტეგრირდა ციფრულ პლატფორმაზე და მუზეუმის გახსნისთანავე, ხელმისაწვდომი იქნება ვიზიტორებისთვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ციფრულ პლატფორმებთან ინტეგრირების მასშტაბური პროექტი სრულად ხორციელდება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ, ბრიტანეთის საბჭოს და ვესმისტერის უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმდიდრესი ფოტოარქივი კიდევ ერთი უნიკალური კოლექციით გაამდიდრა. 2800 უნიკალური ფოტო, რომელიც აქამდე ბაადურ ქობლიანიძის ოჯახის საკუთრება იყო, ახლა უკვე ეროვნული მემკვიდრეობა გახდა.

„დასრულდა ორწლიანი მოლაპარაკება და თანმდევი პროცესიც: საქართველოში უდიდესი კერძო ფოტოკოლექცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიდებს ბინას. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პროლოგის ჩათვლით ათასობით ძალიან ცნობილი თუ სრულიად უცნობი ფოტოსურათის ორიგინალი მომავალ წელს ჩვენს ფოტომუზეუმში წარმოგიდგებათ თემატურ გამოფენებად. საქართველოს ვიზუალური ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილის გადარჩენა — ამ ამბავს ასეც შეიძლება დავარქვათ. აქვე გთავაზობთ რამდენიმე სურათს გასული საუკუნის დასაწყისისას — მცირედს მცირედიდან — დიდი და საოცარი მოგზაურობა კი წინ გელით — უკვე დაზუსტებულ პირთა საძიებლით, ქრონოლოგიითა თუ კონტექსტებით“, — განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

უძველესი მონუმენტი ჯუნგლებში

ამერიკელმა მეცნიერებმა მექსიკაში მაიას ცივილიზაციის უძველესი და უდიდესი კომპლექსი აღმოაჩინეს. ჯუნგლებში მიწისქვეშ მოქცეული ნაქალაქევი LiDARTechnology-ს სკანერების მეშვეობით აღმოაჩინეს. არქეოლოგებმა 21 ცერემონიალური კომპლექსი იპოვეს.

ისინი მაიას აქამდე ცნობილი სტრუქტურებისგან განსხვავდება და ძველი წელთაღრიცხვით 750 წლით თარიღდება. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანებმა კომპლექსები ამავე პერიოდში მიატოვეს, ამის მიზეზი კი სავარაუდოდ კლიმატის ცვლილება გახდა. იმედოვნებენ, რომ ახალი აღმოჩენა მაიას ცივილიზაციის შესახებ მეტ ინფორმაციას მისცემს მეცნიერებს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ უეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9562; ევრო - 3.3476;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7328;
100 რუბლი - 4.2963; თურქული ლირა - 0.4365;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7389;
1000 სომხური დრამი - 6.1284.

ამინდი 8 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge